# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 25 იანვარი. 2024 წ. №10 (9690) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


## ხალხის ძალა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

მოძრაობა თავისუფლებისთვის ევროპული საქართველო

გახარია საქართველოსთვის!

საქართველოს ლეიბორისტული პარტია Georgian Labour Party

სტრატეგია აღმაშენებელი


იხ. 3 გვ.


დროა! ელენე ხოშტარია

გირჩი მეტი თავისუფლება

ლელო საქართველოსთვის

# კოლექტიური ნაცმოძრაობა უნდა გასამართლდეს

# ტრაგედია ბელგოროდში



## უკრაინელებმა „ილ 76“-ი, რომლის ბორტზეც უკრაინელი სამხედრო ტყვეები იმყოფებოდნენ, ბელგოროდში ორი საზენიტო რაკეტით ჩამოაგდეს

რუსეთის თავდაცვის უწყებაში აცხადებენ, რომ თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც უკრაინელი სამხედრო ტყვეები იმყოფებოდნენ, ხარკოვის ოლქის სოფელ ლიპციდან საზენიტო სარაკეტო სისტემის გამოყენების შედეგად დაზიანდა და ჩამოვარდა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის საჰაერო კოსმოსური ძალების სარადარო აღჭურვილობამ დააფიქსირა ორი უკრაინული რაკეტის გაშვება. თვითმფრინავი ასრულებდა რეისს ჩკალოვსკის აეროპორტი-ბელგოროდი და გადაჰყავდა უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეები შემდგომი გაცვლისთვის.

ბელგოროდის ოლქის გუბერნატორი ვიაჩესლავ გლადკოვი აცხადებს, რომ ჩამოვარდნილი „ილ-76“-ის ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ გლადკოვი „ტელეგრამარხში“ წერს. უკრაინის დაზვერვის სამსახური ადასტურებს, რომ 24 იანვარს უკრაინას და რუსეთს სამხედრო ტყვეები უნდა გაეცვალათ. ამასთან, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენლის, ანდრეი იუსოვის ინფორმაციით, დაგეგმილი გაცვლა ვერ მოხდა. იუსოვის თქმით, უკრაინა ამოწმებს რუსეთის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბელგოროდის რეგიონში ჩამოვარდნილი „ილ-76“-ის ბორტზე შესაძლოა, უკრაინელი სამხედრო ტყვეები ყოფილიყვნენ. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით კი, სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავის ბორტზე 65 უკრაინელი სამხედრო, მათი თანმხლები სამი პირი და ეკიპაჟის ექვსი წევრი იმყოფებოდა. თვითმფრინავი ბელგოროდის ოლქის კოროჩანსკის რაიონში ჩამოვარდა.




4


## როდესაც ბიძინა ივანიშვილი შემოდიოდა პოლიტიკაში, ეს ოპოზიციის ძალიან მძიმე მარცხით მთავრდებოდა

„კოაბიტაცია დამთავრდა და ივანიშვილი ცდილობს, „ნაცმოძრაობა“ ჩააჩოჩოს, ხოლო მის ადგილას მოიყვანოს ჯანსაღი ოპოზიციური ძალა“

## ხაზარაძე რჩევას იძლევა – გამოსასახლებლები ზაფხულში გამოასახლეთო!



პარტია „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე აცხადებს, რომ ზამთარში ოჯახების გარეთ გამოსახლება არის კატასტროფა. როგორც ხაზარაძემ აღნიშნა, ყველა ქვეყანაში მსგავსი რამ ზამთარში აკრძალულია.

კითხვაზე, თქვენ დროს როგორ ხდებოდა, ხაზარაძემ აღნიშნა: „ჩემს დროს მსგავსი რაღაც არ ხდებოდა და არც ახლა არ ხდება“.

„ქრონიკამ“ ექსკლუზიურად მოიპოვა იმ უძრავი ქონების ჩამონათვალი, რომელიც „თიბისი ბანკმა“ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მმართველობის პერიოდში გაყიდა ან შეიძინა.

როგორც ირკვევა, 2012 წლის 1 იანვრიდან დღემდე „თიბისი ბანკის“ დავალიანების გადახდევინების მიზნით 1085 უძრავი ქონების რეალიზაცია განხორციელდა. აქედან 857 საცხოვრებელი ფართი, 194 მიწის ნაკვეთი და 34 სხვადასხვა ტიპის დანიშნულების უძრავი ქონება იყო.

გაყიდვის გარდა, ბანკმა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აუქციონზე გატანილი 689 უძრავი ქონება შეიძინა. აქედან 598 საცხოვრებელი ფართი, 61 მიწის ნაკვეთი და 30 სხვადასხვა ტიპის დანიშნულების უძრავი ქონება.

## XXI საუკუნის სოფელი

## საბუდარელი ჭაბუკი სოფელს სწორედ ახლა უნდა დაუბრუნდეს!

თბილისთან ახლოს არის ერთი პატარა სოფელი ბროწეულა, რომელიც დააარსა კინოსტუდიამ. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II „კინოსოფელ ბროწეულაში“ მოხალისე თბილისელების დამკვიდრებაში დაინახა „XXI საუკუნის სოფელი“. აქ, მისი ლოცვა-კურთხევით შენდება წმ. ილია მართლის სახელობის ტაძარი. გამრავლება და ნაყოფიერება შევინარჩუნოთ გიორგი სააკაძისა და წმ. ილია მართლის – ჭავჭავაძის შთამომავლებო!




7


კინოსოფელი ბროწეულა

# საით მიგაქანებთ, აგენტი პრეზიდენტ-რეზიდენტი?



**აი, ეს არის ის საბოლოო გეგმა, რასაც აპირებს „გლობალური ომის პარტია“ ჩვენს ქვეყანაში. აი ამას მოაწერა ხელი, გვარამიას დავესესხები, რეზიდენტმა,** – ასე ეხმიანება ექსპერტი ნინო ფოჩხუა, „ხალხის ძალის“ განცხადებას, სადაც ნათქვამია, რომ სალომე ზურაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის საბოლოო არჩევანს „გლობალური ომის პარტია“ არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე გააკეთებს, თუ სააკაშვილში დაინახავენ მეტ საარჩევნო რესურსს, მას სალომეს შეაწყალებინებენ, ხოლო თუ სალომეში – სააკაშვილი ციხეში დარჩება, სალომე სექტემბერში პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგება და „ლელოსთან“ ერთად საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

ფოჩხუას თქმით, ეს გეგმა თავშივე განწირულია და აღსრულება არ უწერია.

**„ეს გეგმა თავშივე განწირულია, მაგრამ ამ უსამშობლო ქალის დამცველებს ნუთუ სულ ცოტა იმის ანალიზის უნარი არ აქვთ, საით მიაქანებს მათი აგენტი პრეზიდენტი ქვეყანას? და კიდევ, გეგმას, რომელიც თავშივე გაშიფრულია, აღსრულება არ უწერია, ასეთ შემთხვევებში კი ქართველი ხალხი კიდევ უფრო ერთ მუშტად იკვრება ქვეყნის გადასარჩენად“,** – წერს ნინო ფოჩხუა Facebook-ზე.

# ირაკლი ქადაგიშვილი: გაერთიანდებიან თუ არა, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლება



**„ეს არის ერთ დროს ერთიანი, დიდი „ნაციონალური მოძრაობის“ კრიზისის შედეგად სხვადასხვა სეგმენტად დაშლილი ოპოზიცია. ესენიც ძირითადად დღეს ზრუნავენ იმ ელექტორატის თავის მხარეს გადმობირებაზე, რომელიც ადრე „ნაციონალური მოძრაობის“ ელექტორატი იყო, ამიტომ რაიმე სიახლე ქართულ პოლიტიკაში არ არის“,** – აღნიშნა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ქადაგიშვილმა.

ოპოზიცია კვლავ გაერთიანებაზე საუბრობს. გაერთიანების მიზნით ოპოზიციაში კონსულტაციები მიმდინარეობს. ამ პროცესში მონაწილეობს ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, რომელიც აღიარებს, რომ საკუთარ თავს ყველაზე მეტად ნიკა გვარამიასთან და პარტია „ლელოსთან“ ხედავს. მმართველ გუნდში კი აცხადებენ, რომ ოპოზიცია ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებს და მისი ყველა მცდელობა მარცხისთვის განწირულია.

# ბექა ოდიშარია: ეს არის დესტრუქცია და საკუთარი ინტერესებისთვის ქვეყნის ჩამოშლა



**ბექა ოდიშარიას** თქმით, „ხალხის ძალის“ განცხადების ბევრი პასაჟი საინტერესოა.

**„ვეთანხმები და მათი მოსაზრებები უნდა გაანალიზდეს. ხალხი ღირსია, მეტი იცოდეს. უტყუარია ის ფაქტები, რაც 2012 წლამდე მოხდა. იყო გამოძალვები, წამება, ბიზნესის დაყაჩაღება და ასე შემდეგ. 2012 წლის შემდეგ პარლამენტში ბეღურებივით მობუზული იყვნენ. ბოლო ხანებში კი თავი იჩინა ალიანსმა, რომელიც ხელოვნურად არის დაყოფილი – გამრავლდნენ პარტიებად და არა ელექტორალურად. თეთრი ძაფითაა ნაკერი ის, რასაც ახორციელებენ – ეს არის დესტრუქცია, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ქვეყნის ჩამოშლა. არსებობს ნიადაგი, ვიფიქროთ, რომ სალომე ზურაბიშვილი ოპოზიციაში აღმოჩნდება.**

**არ ვიცი, კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ რომელ ფლანგს აირჩევს. ვიმედოვნებ, განვლილი გზიდან გამომდინარე, ზურაბიშვილს პოლიტიკური სიბრძნე ეყოფა და კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას“ არ შეუერთდება. სინამდვილეში, ყველა შუაშისტი ალიანსშია „ნაციონალურ მოძრაობასთან“. როგორც ჩანს, დამრიგებლებმა უთხრეს, რომ ახლა „ნაცმოძრაობისგან“ უნდა დისტანცირდნენ, რათა ელექტორატი მოიზიდონ და შემდეგ პარლამენტში გაერთიანდნენ“,** – განაცხადა ბექა ოდიშარიამ.

# თაკო ჩარკვიანი: არ დავყაროთ კარვები და ლეიბები?



**არ გავიდეთ გარეთ, არა? არ დავყაროთ კარვები და ლეიბები? რატომ? პოლონეთში ჩვენზე ნაკლებად მოაზროვნენი არიან, დრამატულ თეატრთან რომ 300 „მატრასი“ ლეიბი დაყარეს პატრიოტებმა, ისე რომ არ უღლიცინიათ, როგორც ზოგიერთმა „აქოურმა“ კომფორტს მორგებულმა „ზარმაცმა“ ოპოზიციონერმა იღლიცინა. მახსოვს, ყოფილი ხელისუფლების დროს ოთხი თვე გარეთ კარვები იყო გაშლილი,** – ამის შესახებ „კანონისა და სამართლის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი სოციალურ ქსელში წერს.

ჩარკვიანის თქმით, „სახლებიდან ქუჩაში კი არა, ქვეყნიდან გაყრიან, პატრიოტებს ცოტა ხანში“.

**„ჰოდა, გახარია რომ ოპოზიცია გეგონება, სახლებიდან ქუჩაში კი არა, ქვეყნიდან გაყრიან, პატრიოტებს ცოტა ხანში. კარვები და ლეიბები „ტეხავს“ რუსთაველზე? რუსთაველზე გასვლა არააქტუალურია? როგორც ერთმა პოლიტლუზერმა თქვა, ჰოდა „ბულკებზე“, ფუნთუშებზე გაზრდილ საბა ბუაძეს, ამერიკულ ძვირად ღირებულ მუსტანგზე ამხედრებულ ხაზარაძეს და ბიძინა ივანიშვილის გახარიას იმედად დარჩენილი ვინც არის, ან პოლიტიკურად ბეცია, ან „ნეტარი“. მოქალაქეების გამოსახლების კადრებს ვუყურებდი და სიმწრისგან (შემზარავ კადრებს) გალაკტიონი მომაგონდა – „ქუჩაში მტვერში წაიქცა ბავშვი, თმით მიმოზებით ნუკრის თვალებით, შეშლილი სახით კიოდა ქუჩა, შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა“. მტვერში, ქუჩაში, მტრის გარემოცვაში დარჩენილია საქართველო! ტფუ!“** – წერს ჩარკვიანი.

# იაგო ხვიჩია რუსთაველზე, ლეიბებზე წამოწოლილი თაკო ჩარკვიანის მოლოდინშია



**თაკო ჩარკვიანის განცხადების ნამდვილობას მაშინ დავიჯერებ, როცა რუსთაველის გამზირზე ლეიბზე წამოწოლილ თაკო ჩარკვიანს დავინახავ, დანარჩენი, ვიღაცების ფანტაზიაა,** – ამის შესახებ ოპოზიციონერმა დეპუტატმა, იაგო ხვიჩიამ განაცხადა.

როგორც იაგო ხვიჩიამ აღნიშნა, როცა ეს რეალურად ახდება, ვნახავთ, ამას რა შედეგი ექნება.

**„თაკო ჩარკვიანი, როგორც იდეის ავტორი და ინიციატორი, მაგალითს უნდა აძლევდეს საკუთარ მხარდამჭერებს და შემდეგ უნდა მოუწოდებდეს. თუ გინდა, რომ საკუთარ იდეას ვინმემ პატივი სცეს, თავად უნდა დაიწყო მისი განხორციელება. ხალხს მაგალითი თავად უნდა მისცეს. ოპოზიცია იმიტომ ქირქილებს, რომ თაკო ჩარკვიანმა თავად არ მისცა სხვებს მაგალითი“,** – განაცხადა ხვიჩიამ.

# „ვირთხების რბოლა“

„ხალხის ძალის“ წევრი **ზურაბ ქადაგიძე** სოციალურ ქსელში ეხმიანება გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ თინა ხიდაშელი ტაივანიდან იღებს დაფინანსებას.

**„ტაივანჩიკას“ ქმარი ხარ, ბიჭო?! „ფაზლის“ დეტალებივით ეწყობა ყველაფერი თავის ადგილას... აი, რატომ გადაიხსნეს „ხალხის ძალის“ ინიცირებულ კანონპროექტზე ვენები?! გამჭვირვალე გახდებოდა, ვინ ტაივანიდან და ვინ ფხენიანიდან ფინანსდება...**

**ამიტომაცაა, რომ ხიდაშელი განსაკუთრებული „ჩინოფობიით“ გამოირჩევა. განა ჩინეთს ან მის პოლიტიკას სწუნობს, უბრალოდ ტაივანის სეპარატისტულ მხარესთან თანამშრომლობს... ისე, ტაივანიდან დაფინანსების მიღება იგივეა, რაც სოხუმის ან ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმებისგან ფულს იღებდეს ვინმე და საქართველოს ამუნათებდეს, ავტოკრატიააო... თუმცა, ამ ჯიშის პოლიტიკოსებს, ჩინეთიც ფეხზე ჰკიდიათ და საქართველოც. მთავარია ფული აიღონ და კიმ ჩენ ინთანაც ითანამშრომლებენ. „ვირთხების რბოლა“ აქვთ გამართული – „რასაც ფულით ვერ იყიდი, უფრო ბევრი ფულით იყიდი“-ოს პრინციპით და გულწრფელად მინდოდა მეკითხა: სინდისი არ გაწუხებთ-მეთქი, მაგრამ რაც არ გაქვთ, რა შეგაწუხებთ?!“** – წერს ქადაგიძე.



# ქუვეითში, ისრაელში, ჩინეთსა და იორდანიაში ახალი ელჩები გვყავს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** ქუვეითის სახელმწიფოში ახლადდანიშნულ ელჩს, **ნოშრევან ლომთათიძეს,** ისრაელის სახელმწიფოში ახლადდანიშნულ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, **ზაზა კანდელაკს,** ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ახლად დანიშნულ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს **პაატა კალანდაძეს** და იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში საქართველოს ახლად დანიშნულ ელჩს, **არჩილ ძულიაშვილს** შეხვდა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შეხვედრაზე პრემიერმა ელჩებს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

**„ნოშრევან ლომთათიძეს 2021 წელს მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი. იგი 2021 წლის ივნისიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე. ნოშრევან ლომთათიძემ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, ხოლო მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კოლუმბიის უნივერსიტეტში, საჯარო მართვის სპეციალობით“,** – აღნიშნულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციაში.

* * *

**ზაზა კანდელაკმა პრემიერ-მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.**

ზაზა კანდელაკს საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ის სხვადასხვა დროს მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიაში, თბილისის სახელმწიფო მუზეუმში, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატში. ასევე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. ზაზა კანდელაკი წლების განმავლობაში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე, აგრეთვე საქართველოს დიპლომატიურ მისიებში საზღვარგარეთ, იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში და უნგრეთში.

ისრაელის სახელმწიფოში ელჩად დანიშვნამდე ზაზა კანდელაკი იყო იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

* * *

**პაატა კალანდაძეს მრავალწლიანი დიპლომატიური გამოცდილება აქვს. ის სხვადასხვა წლებში საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებსა და ისრაელის სახელმწიფოში.**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ელჩად დანიშვნამდე, პაატა კალანდაძე იყო არაბთა გაერთიანებულ საამიროებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

* * *

**არჩილ ძულიაშვილი იკავებდა ინდოეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოზიციას, რომელიც პარალელურად ფარავდა შემდეგ ქვეყნებს: ბანგლადეში, ტაილანდი, ნეპალი, მალდივები, შრი ლანკა. ასევე იყო აზიისა და წყნარი ოკეანეთისთვის გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ კომისიაში (ESCAP) საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი.**

სხვადასხვა დროს არჩილ ძულიაშვილი იკავებდა საგანგებო დავალებათა ელჩის თანამდებობას, ასევე იყო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, რომელიც მოიცავდა ასევე ტუნისს, ლიბიასა და სირიას. იყო არაბთა ლიგასა და აფრიკის კავშირში საქართველოს წარმომადგენელი. ეკავა ქუვეითის სახელმწიფოში, საუდის არაბეთის სამეფოში, ბაჰრეინის სამეფოში, კატარის სახელმწიფოში, ომანის სასულთნოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩევლის პოზიცია; მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ, შემდეგ კი – გლობალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ; იყო ყაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებში საქართველოს საელჩოს კონსული; მუშაობდა აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების სამმართველოს პირველ მდივნად, სამმართველოს უფროსად, შემდგომ კი – ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ; იყო აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის სახელმწიფოთა დეპარტამენტის აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სამმართველოს ატაშე, ასევე – პირველი მდივანი; 2015 წელს მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის უმაღლესი დიპლომატიური რანგი.

# მაოხრებელი გზირი და გლობალისტები

ხალხის ძალა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

მოძრაობა თავისუფლებისთვის ევროპული საქართველო

გახარია საქართველოსთვის!

საქართველოს ლეიბორისტული პარტია Georgian Labour Party

სტრატეგია აღმაშენებელი

დროა! ელენე ხოშტარია

გირჩი მეტი თავისუფლება

ლელო საქართველოსთვის

# კოლექტიური ნაც–მოძრაობა უნდა გასამართლდეს

**კოლექტიური ნაცმოძრაობა, რომელიც აერთიანებს პარტია „ნაცმოძრაობას“, „ლელოს“, ვაშაძისა და გახარიას პარტიებს, „ევროპულ საქართველოს“, „გირჩი – მეტი თავისუფლებას“, „დროას“ და „ლეიბორისტულ პარტიას“, უნდა გასამართლდეს,**

**– ამის შესახებ აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“ ავრცელებს.**

„უნდა მოეწყოს ქართული „ნიურნბერგის პროცესი“, რათა კოლექტიურმა ნაცმოძრაობამ პასუხი აგოს როგორც 2012 წლამდე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულებისთვის, როგორიცაა ადამიანების წამება, ბიზნესის რეკეტი, „ელიტური“ კორუფცია, არჩევნების გაყალბება, ტელევიზიების მიტაცება, ქვეყნის ტერიტორიების რუსეთისთვის ჩაბარება და მრავალი სხვა, არამედ იმ დანაშაულებისთვისაც, რომლებსაც ისინი 2012 წლიდან დღემდე სჩადიან.

კოლექტიური ნაცმოძრაობა არის აგენტურა, რომელიც ერთი ცენტრიდან იმართება და კოორდინირდება. აგენტი იმთავითვე ხელს აწერს პირობას, რომ ნებისმიერ მომენტში ნებისმიერ დავალებას შეასრულებს, მათ შორის ისეთ დავალებასაც კი, რომლის შესრულებამაც ქვეყანა ომში და უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში შეიძლება გახვიოს, ან, თუნდაც, სუვერენიტეტი სრულად დააკარგვინოს. ისინი ნებისმიერ დროს შეასრულებენ საქართველოს უკრაინიზაციის დავალებას და აქამდე შესრულებულიც ექნებოდათ, ხელისუფლებას სწორად და პრინციპულად რომ არ ემოქმედა და საქართველოს ეროვნული ინტერესები ბოლომდე რომ არ დაეცვა.

ცოტა ხნის წინ, გლობალურმა ომის პარტიამ ე.წ. „წამების პრევენციის კომიტეტს“ სააკაშვილზე დააწერინა, ვიდეოთვალთვალი მის ღირსებას ლახავდაო. იმ ფონზე, რომ სააკაშვილის მკვლელობაზე, წამებაზე, მოწამვლაზე და მსგავს სისულელეებზე დღეს აღარავინ ლაპარაკობს, ეს მცირე ჟესტი, ძირითადად, სხვა აგენტებისთვის იყო განკუთვნილი. სხვა აგენტებს უნდა დაენახათ, რომ პატრონები საკუთარ თანამშრომელს ბოლომდე არ წირავენ და მინიმუმ, ციხეში სრულიად უყურადღებოდ არ ტოვებენ.

ყველას გვახსოვს, რომ „გლობალურმა ომის პარტიამ“ სააკაშვილის დასახსნელად, თავის დროზე, ლამის მთელი თავისი ევროპული აგენტურა ფეხზე დააყენა. ამ ხაზის გაგრძელება მათ ახლაც შეუძლიათ, თუმცა, ჩანს, რომ მათი საარჩევნო სტრატეგია ახლა არა სააკაშვილზე, არამედ სხვა რამეზეა გათვლილი.

სააკაშვილის გათავისუფლება რომ უნდოდეთ, სალომე ზურაბიშვილს მას ნებისმიერ მომენტში შეაწყალებინებდნენ. თუმცა, ხედავენ, რომ ნაცმოძრაობა ღრმა კრიზისშია ჩაფლული და ჭაობიდან მას ვერც ბელადის გათავისუფლება ამოიყვანს. სააკაშვილით თუ მის გარეშე, ნაცმოძრაობა მაქსიმუმ 30-35 მანდატს მიიღებს პარლამენტში, ასეთ პირობებში კი, მმართველი ძალა საკონსტიტუციო უმრავლესობას იოლად მოიპოვებს.

შესაბამისად, „გლობალური ომის პარტია“ აქცენტს უფრო მეტად არა სააკაშვილზე, არამედ სალომე ზურაბიშვილზე აკეთებს. მათი გათვლით, 2021 წელს „დავერბოვკებული“ სალომე „ლელოს“ უნდა მიუერთონ და ამ ერთობას 5-პროცენტიანი ბარიერი უნდა გადაალახვინონ. იმ შემთხვევაში კი, თუ სალომეს სააკაშვილს შეაწყალებინებენ, მას იმ მწირ რესურსსაც გააფლანგვინებენ, რომელიც დღეისათვის აქვს შეკოწიწებული.

სალომესა და სააკაშვილს შორის საბოლოო არჩევანს „გლობალური ომის პარტია“ არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე გააკეთებს. თუ სააკაშვილში დაინახავენ მეტ საარჩევნო რესურსს, მას სალომეს შეაწყალებინებენ, ხოლო თუ სალომეში – სააკაშვილი ციხეში დარჩება, სალომე სექტემბერში პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგება და „ლელოსთან“ ერთად საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. შესაბამისად, „გლობალური ომის პარტია“ ჯერჯერობით ბალანსს იცავს, სააკაშვილის არარსებულ ღირსებაზე საუბრობს და შეწყალების საკითხს ღიად ტოვებს. უფრო მაღალი ალბათობით, საბოლოოდ, არჩევანი მაინც სალომე-„ლელოს“ ალიანსზე შეჩერდება.

პარალელურად, „გლობალური ომის პარტია“ გვარამია-მელიას გაერთიანებაზეც მუშაობს. თუ ჩათვლიან, რომ მათ 5-პროცენტიანი ბარიერის დამოუკიდებლად გადალახვის რესურსი აქვთ, ცალკე მიაღებინებენ არჩევნებში მონაწილეობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათაც სალომე – „ლელოს“ ბლოკს მიუერთებენ.

რამდენად შეძლებს „გლობალური ომის პარტია“ გამოცდილი ქართული საზოგადოების თვალში სალომეს, ხაზარაძის, გვარამიას და მელიას შუაშისტურ ძალად წარმოჩენას, ეს ცალკე საკითხია. ფაქტია, რომ 2016, 2020 და 2021 წლებში მათ შუაშისტის სახელი ვერც ბოკერიას „ევროპულ საქართველოს“, ვერც ხაზარაძის „ლელოს“ და ვერც გახარიას პარტიას მიაწებეს. დიდი ალბათობით, ფსევდოშუაშისტური გაერთიანების წარმატების მორიგი მცდელობაც წარუმატებლობით დასრულდება. მთავარია, საზოგადოება ყველაფერს გულდასმით დააკვირდეს, რომ ვერცერთმა ფსევდოშუაშისტურმა პარტიამ 5-პროცენტიანი ბარიერიც კი ვერ გადალახოს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

# მორიგი სპეცოპერაცია „რიგითი სააკაშვილის“ გადასარჩენად

**სააკაშვილის გარემოცვა და მისი უცხოელი მფარველები არ წყვეტენ სააკაშვილის საქართველოდან გაყვანის მცდელობებს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. სავარაუდოდ, უშედეგოდ დასრულდება მეორე მცდელობაც, რომელშიც ამჯერად მთავარ როლის შემსრულებლად გავლენიანი ორგანიზაცია – წამების და არაადამიანური/დამამცირებელი მოპყრობის პრევენციის ევროპის კომიტეტი (CPT) მოგვევლინა. 2023 წლის 25-27 მარტში საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შედეგები, კომისიამ 2024 წლის იანვარში გამოაქვეყნა.**

კომისიის ანგარიშში მთავარი ადგილი **მიხეილ სააკაშვილს** ეთმობა, რომელიც კომისიამ „VivaMedi Clinic“-ში მოინახულა და ის მოხსენებულია როგორც „პაციენტ“-ს. კომიტეტის ანგარიშში სიტუაცია ისეა წარმოჩენილი, თითქოს საქართველოში ის არასათანადო პირობებში იმყოფება, რაც მის ჯანმრთელობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. სიტუაციის ირონია იმაშია, რომ სწორედ ეს არის ის მთავარი თეზისი, რაზედაც აგებულია სააკაშვილის გათავისუფლების მილიონებად ღირებული კამპანია, რომლიც მიზანიც სააკაშვილის საქართველოდან გაყვანა იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლომ ვერ იპოვა სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანის საფუძვლები, წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიშს, რომ იტყვიან, ფასი დაუვარდა. თუმცა, არსებობს ალბათობა, რომ ისინი, ვინც სააკაშვილის პოლიტიკური რეანიმირებისთვის იბრძვიან, ბოლომდე შეეცდებიან ამ ანგარიშიდან ყველა პოლიტიკური და პროპაგანდისტული საშუალება გამოწურონ.

აღნიშნული ანგარიში არაერთ ისეთ პასაჟს შეიცავს, რომელიც ერთი მხრივ, ღიმილის, მეორე მხრივ კი სევდის მომგვრელი უნდა იყოს ჩვეულებრივი რიგითი ადამიანისათვის. ალბათ, ღირს ამ დოკუმენტის რამდენიმე „მარგალიტი“ გავაცნოთ მკითხველს, რომლის შემდეგ ნათელი გახდება, თუ რამხელა ნაპრალია ქართულ და ევროპულ ხედვებსა და აღქმებს შორის.

მაგალითად, **ევროპელებს არ მოეწონათ, რომ კლინიკა „ვივამედის“ მე-5 სართულზე, სადაც სააკაშვილის განთავსებული, უსაფრთხოების მოსაზრებები ჭარბობდა სამედიცინო მოსაზრებებს, ხოლო სასჯელაღსრულების სამსახურის თანამშრომლები (ზოგიერთი სამოქალაქო ტანსაცმელში, ზოგი კი ფორმაში) ხილვადად ატარებდა იარაღს და ხელბორკილებს. ამავე დროს, იმავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სააკაშვილს ჰქონდა წვდომა ყველა ძირითად სამედიცინო რესურსებზე. უსაფრთხოების ზომებისადმი მსგავსი დამოკიდებულება, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, როდესაც არაერთხელ იქნა გაცხადებული სააკაშვილის ძალის გამოყენებით დახსნის მცდელობა, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია, უფრო მძიმედ კი - არაკეთილსინდისიერი. ფაქტობრივად, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი**



**საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვს უსაფრთხოების ზომების მინიმუმამდე დაყვანას, რამაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოიტანოს და ვის მოსთხოვენ პასუხს თუ ასეთი შედეგები დადგა?**

იგივე კონტექსტში გადის წამების პრევენციის კომიტეტის პრეტენზიები სათვალთვალო კამერებთან, სააკაშვილის სიმარტოვესთან და გარეთ გასეირნებასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, ის, რომ სააკაშვილმა თავად მოისურვა მარტოობა და უარი თქვა გარეთ გასეირნებაზე, კარგად მეტყველებს იმაზე, რომ სააკაშვილს არცთუ უსაფუძვლოდ ეშინია, რომ პალატის კედლებს გარეთ ტერიტორიაზე, რომელიც არ არის ისე დაცული, როგორც ციხის ტერიტორია, მის სიცოცხლეს შეიძლება რეალური საფრთხე დაემუქროს. სწორედ სათვალთვალო კამერებია ერთ-ერთი საშუალება, იმისათვის, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი საფრთხეები და თავიდან იქნას აცილებული შესაძლო პოლიტიკური სპეკულაციები, რომლებიც ყველაფრის მიუხედავად, არ ცხრება დაინტერესებული მხარეებისგან. თუ რატომ უყურებს წამების პრევენციის კომიტეტი „ვარდისფერი სათვალეებით“ უსაფრთხოების საკითხებს სააკაშვილის შემთხვევაში, კიდევ გასარკვევია.

კომიტეტის მიერ განმეორებითი აქცენტირება სიტუაციის „რეპრესიულობაზე“ რომელიც „ხელს არ უწყობს მისი (სააკაშვილის) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას“, აშკარად ცდილობს, ახალი სტიმული მისცეს პატიმრობიდან სააკაშვილის გათავისუფლების მინავლებულ კამპანიას.

სხვათა შორის, FARA-ს ანგარიშები, საიდანაც ყველამ გაიგო, თუ როგორ იქმნებოდა მითები „მომაკვდავი სააკაშვილის“ შესახებ ავტორიტეტული „ექიმების“ მიერ, რა დონის შეღწევადობა აქვთ სააკაშვილის ლობისტებს ევროპულ სტრუქტურებში (ევროპარლამენტისთვის რეზოლუციის ტექსტის თავსმოხვევა!), გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს „რიგითი სააკაშვილის გადარჩენის“ მორიგი სპეცოპერაციის მცდელობასთან.

**ზაალ ანჯაფარიძე**



# როდესაც ბიძინა ივანიშვილი შემოდიოდა პოლიტიკაში, ეს ოპოზიციის ძალიან მძიმე მარცხით მთავრდებოდა

## „კოაბიტაცია დამთავრდა და ივანიშვილი ცდილობს, „ნაცმოძრაობა“ ჩააჩოჩოს, ხოლო მის ადგილას მოიყვანოს ჯანსაღი ოპოზიციური ძალა“

პოლიტიკაში დაბრუნებული და მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარე **ბიძინა ივანიშვილი** საჯარო სივრცეში 30 დეკემბრის შემდეგ არ გამოჩენილა. ახლა პოლიტიკური სპექტრი ივინაშვილის მორიგი განცხადების მოლოდინშია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ინტერვიუს მალე ვიხილავთ და ამის შემდეგ უკვე ივანიშვილი აქტიურად ჩაერთვება პოლიტიკურ პროცესებში. პარტიის თავმჯდომარის **ირაკლი კობახიძის** განცხადებით, ყოველ ჯერზე, როდესაც ბიძინა ივანიშვილი შემოდიოდა პოლიტიკაში, ეს ოპოზიციის ძალიან მძიმე მარცხით მთავრდებოდა.

**„ჩვენ დავინახეთ ერთგვარი სასოწარკვეთილება ოპოზიციაში. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების დღიდან ერთი დღე არ გასულა, რომ მათ ამ ფაქტზე არ ესაუბროთ, რაც მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მძიმედ მიიღეს მათ ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება პოლიტიკაში. როდესაც საუბარია, ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე, რა თქმა უნდა, ამ კუთხით არის უმნიშვნელოვანესი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება. ყველა მიმართულებით, ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, განსაკუთრებული როლი შეასრულოს ჩვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლასა და განვითარებაში“**, – აღნიშნა **ირაკლი კობახიძემ.**

ივანიშვილის პოლიტიკაში შემობრუნებამ ოპოზიციის გეგმები მთლიანად შეცვალა. ყველა კვლევის თანახმად, „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი ისტორიულ მინიმუმზეა დასული, პარტია იშლება, ამის ფონზე, მეტ-ნაკლებად, აქტიურდება „ლელო“, რომელიც ცდილობს შეისრუტოს „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი. „ნაციონალური მოძრაობის“ დასავლელი ლობისტების ჯგუფმა პარტია „ლელოსთვის“ კონსულტანტი **ჯერემი როზნერი** გამოყო, რომ პარტიასთან კონსულტაციები გამართოს.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** თვლის, რომ ივანიშვილი, რომელიც ბიზნესმენია და გარდა იმისა, რომ ის პოლიტიკაში იყო, ხოლო ყოფილი პოლიტიკოსები არ არსებობენ, დაბრუნდა პოლიტიკაში, სწორედ, ცვლილებების მოსახდენად და ეს ცვლილებები უნდა იყოს ის, რომ მმართველმა პარტიამ არჩევნებში მოიგოს. მისი თქმით, თუ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიგო, დიდი ალბათობით, თვლის, რომ კოალიციას გააკეთებენ მათთან ახლოს მდგომ ძალებთან.

**„ბიძინა ივანიშვილმა თავის გამოსვლაში ძალიან მკაფიოდ, პრიორიტეტების მიხედვით ჩამოთვალა ის მიზეზგარემოებები, რამაც გამოიწვია მისი პოლიტიკაში დაბრუნება, პრინციპში, მე ვეთანხმები ამას, რომ ეს არის როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები, ასევე თავად პარტიაში დაწყებული გარკვეული მოძრაობები. ბიძინა ივანიშვილმა მიიჩნია, რომ შესაძლოა, ამას სჭირდებოდეს დამატებითი კონტროლი მისი მხრიდან და მეორე მხრივ, გეოპოლიტიკური მოცემულობაა, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო. მას უნდა, რომ საქართველო ამ რთული გეოპოლიტიკური მოცემულობიდან, რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით გამოიყვანოს და შესაძლოა, რაღაცა დივიდენდებიც კი მიაღებინოს“**, – აცხადებს **ანჯაფარიძე.**

რაც შეეხება ივანიშვილი ფაქტორს ოპოზიციურ ველზე, ანალიტიკოსის თქმით, ივანიშვილმა მიანიშნა, რომ ქვეყანას სჭირდება ძლიერი და ჯანსაღი ოპოზიცია.

**„შესაძლოა, ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნებით ცდილობს იმ პროცესებსაც შეუწყოს ხელი, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს ჯანსაღი და ძლიერი ოპოზიცია, რომელიც არ იქნება დესტრუქციაზე ორიენტირებული, როგორც „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი პარტიები, რომელიც „ქართულ ოცნებას“ კონკურენციას გაუწევს, მაგრამ ჯანსაღ საწყისებზე და მე ვფიქრობ, არ არის გამორცხული, რომ ეს ოპოზიცია გამოიძერწოს „ოცნებიდან“ წასული ადამიანების პოლიტიკური გაერთიანების ხარჯზე.**

**ასევე, პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდნენ ახალი ძალები, რომლებიც იკისრებენ ოპონირების როლს. ვფიქრობ, კოაბიტაციის პერიოდი „ნაცმოძრაობასთან“ და მის დანაყოფებთან, რომელიც მიდიოდა 2012 წლიდან, 2019 წელს დამთავრდა ამ ე.წ. გავრილოვის ღამის მოწყობის შემდეგ. დღეს, უკვე, „ქართულ ოცნებას“ აღარ აწყობს „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა და ცდილობს, რომ ჩააჩოჩოს ამ როლიდან და მის ადგილას მოიყვანოს კონსტრუქციული, ჯანსაღი ოპოზიციური ძალა“**, – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ზაალ ანჯაფარიძემ.**

ბლოგერი და ანალიტიკოსი **ლევან ადეიშვილი** თვლის, რომ ბიძინა ივანიშვილი სამი მიზეზის გამო შემობრუნდა პოლიტიკაში. მისი თქმით, 2024 წელს მოხდება დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები, რომელსაც ივანიშვილი წინა პლანზე უნდა შეხვდეს.

**„პირველი – „ქართული ოცნება“ გაძეძგილია ნაცებით. ერთი მხრივ, გადამწვეტ მომენტში არც ინდობიან. მეორე – „ოცნების“ რეიტინგი არის დავარდნილი და ფიქრობს, რომ ისეთ სიტუაციაში ჩადგება, როგორც იყო 2018 წელს, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების დროს მოუწია გამოსვლა და თხოვნა ხალხისთვის, არიქა, გამოდით, თორემ დავიღუპებითო, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებს არ აქვს მეორე ტური, რომ იგივე გაიმეოროს.**

**ამიტომ, ერთია, რომ გამოვიდეს, უხელმძღვანელოს და იდგეს გუნდთან და მეორეა ის, რომ რუსეთმა შეიძლება ძალიან წინ წაიწიოს უკრაინის ფრონტზე და იმდენად დამაჯერებელი გახდეს რუსეთის გამარჯვება, რომ დასავლეთმა ხელი ჩაიქნიოს. ჩვენს წინაშე დადგება ორიენტაციის არჩევის ახალი დიდი გზაჯვარედინი და ამისთვისაც მზად უნდა იყოს.**

**იცვლება გარე პოლიტიკა. მოხდება დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები. გეოპოლიტიკურ ცვლილებას ივანიშვილი უნდა შევხდეს წინა პლანზე და ამიტომ შემოვიდა. მესამე – არაა გამორიცხული, რომ ივანიშვილი ამდენი ხნის განმავლობაში თამაშობდა დასავლეთის მორჩილის როლს, ელოდებოდა საჭირო დროს და ფანჯარას, რომელიც ახლა დადგება“**, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **ლევან ადეიშვილი.**

**თამთა ქარჩავა**



# მთავარია სამშობლო და ადამიანი!

## აუცილებელია, შეიქმნას საქართველოს ღვაწლმოსილ პიროვნებათა სათათბირო!

## ქართული ერთობის დარბაზის თავმჯდომარის წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს

**თქვენო უწმინდესობავ,**

უპირველეს ყოვლისა გილოცავთ აღსაყდრების 46-ე წლისთავს და დაბადების დღეს.

თქვენ ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, რა მძიმე ჟამი უდგას საქართველოს, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების გამო ისეთ განსაცდელთა წინაშე დგას, რისი მსგავსიც იშვიათად დადგომია თავისი ხანგრძლივი და მძიმე ისტორიის მანძილზე.

ჩვენ, როგორც მცირერიცხოვან და ტერიტორიულად პატარა, მაგრამ დიდი სულიერი ძალის მქონე ქვეყანას, გვმართებს, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ღირსეული გზები მოვნახოთ ყოველი განსაცდელის თავიდან ასაცილებლად.

**ამ თვალსაზრისით, „ქართული ერთობის დარბაზისთვის“ უმნიშვნელოვანესია თქვენს ეპისტოლეებსა და ქადაგებებში ჩამოყალიბებული მოსაზრებების ქვეყნის განვითარების პროგრამებში გადატანა. ჩვენ დიდი ხანია ვახორციელებთ 2011 წლის თქვენს ქადაგებაში ჩამოყალიბებულ მოსაზრებას, რომ აუცილებელია შეიქმნას საქართველოს ღვაწლმოსილ პიროვნებათა სათათბირო. მსგავსი რამ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია და რაოდენ მრავლისმთქმელია, რომ ჯერ კიდევ მეფე ვახტანგ გორგასალმა შექმნა „ჭკვიან კაცთა კომისია“. ჩვენ სწორედ ყველაფერი ამის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ თქვენი ლოცვა-კურთხევით, საზოგადოების, მთავრობის, მეცნიერებათა აკადემიის, პოლიტიკურ ძალთა მხარდაჭერითა და მონაწილეობით (ილია ჭავჭავაძის ტერმინი რომ გამოვიყენოთ), შეიქმნას** „სახელმწიფო კაცების საკრებულო“, **რომელიც რეგულარულად განიხილავს საქართველოს წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემებს და თავის მოსაზრებებს წარუდგენს საქართველოს მოსახლეობას და ხელისუფლებას.**

ჩვენ სრულად ვიზიარებთ თქვენს მოსაზრებას, რომ დარბაზი უნდა დაკომპლექტდეს ეროვნული ცნობიერებისა და საყოველთაო ავტორიტეტის მქონე პიროვნებათაგან, რომელთაც ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი არ ამოძრავებთ.

„სახელმწიფო კაცების საკრებულოს“ წევრთა შემადგენლობა უნდა შეირჩეს წარმოდგენილ კანდიდატთა საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე და, როგორც თქვენ აღნიშნავთ ქადაგებაში, წარედგინოს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მთავრობის თავმჯდომარეს, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას.

თქვენო უწმინდესობავ! „ქართული ერთობის დარბაზი“ თქვენი ამ იდეის განხორციელებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, რამეთუ ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ „ქართული ერთობის დარბაზი“ შეიქმნა თქვენი ლოცვა-კურთხევით და მის სათავეებთან იდგნენ დიდი მამულიშვილები: მერაბ ბერძენიშვილი, რეზო ჩხეიძე, ანზორ ერქომაიშვილი, არნოლდ გეგეჭკორი, გივი თოიძე, ომარ მხეიძე, გიგა ბათიაშვილი, ტარიელ ხარხელაური, რომან რურუა, თემურ გუგუშვილი. მათ შეუერთდნენ ცნობილი მეცნიერები, საზოგადოების წარმომადგენლები. სწორედ თქვენი ლოცვა-კურთხევითა და ამ ადამიანების საერთო ძალისხმევით სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში შეიქმნა და გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კომპლექსში, დავითობას, 8 თებერვალს, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დამტკიცდა ქვეყნის განვითარების პროგრამა: „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“, „ახალი განზომილება – რა შევცვალოთ, რომ გადავრჩეთ?“, 21-პუნქტიანი განვითარების პროგრამა „მთავარია სამშობლო და ადამიანი“ ამჟამად მზად არის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დოქტრინა, რომლის მიღებას ვგეგმავთ ა.წ. 8 თებერვალს, დავითობას, გელათის ტრადიციულ კონგრესზე.

ამ პროგრამების შემდგომ დახვეწის, ხელისუფლებაში წარდგენისა და მათი შესრულების ორგანიზებაში ხალხის, საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ექნება „სახელმწიფო კაცების საკრებულოს“ როგორც შექმნის პროცესს, ასევე მის შემდგომ საქმიანობას.

ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ საპატრიარქოსთან თქვენს ამ წინადადებასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ აღდგომის ბრწყინვალე დღეებისთვის დასრულდეს 50-60-წევრიანი საკრებულოს ფორმირება.

თქვენო უწმინდესობავ!

იმის გათვალისწინებით, რომ ამ უაღრესად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და პირდაპირ ვიტყვი, ადამიანური წინადადების ავტორი თქვენ ბრძანდებით, თავს უფლებას ვაძლევ, გთხოვოთ, რომ „სახელმწიფო კაცების საკრებულოს“, ანუ დიდ მამულიშვილთა პირველი შეკრება შედგეს თქვენი ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოში.



**ჯუმბერ კოპალიანი,**

**„ქართული ერთობის დარბაზის“ თავმჯდომარე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**



# დედაქალაქი – სახე ჩვენი კულტურისა!!!

## თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა

### ევროპული კომპანია აზიური დაფინანსებით თბილისზე ზრუნავს...

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ დანიური კომპანია „რამბოლის“ მიერ თბილისის სატრანსპორტო გეგმის ფარგლებში შემოთავაზებული პროექტების ნაწილზე მუშაობა უკვე დაწყებულია და აქტიურად მიმდინარეობს.

**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სატრანსპორტო პოლიტიკა და რეფორმა, რომელსაც მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით ახორციელებს. გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები და პროცესი მიმდინარეობს. თბილისის მერიის დაკვეთითა და აზიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის დაფინანსებით, დანიურმა კომპანია „რამბოლმა“ სამი წლის განმავლობაში იმუშავა თბილისის სატრანსპორტო გეგმაზე. სამუშაოები დასრულდა და წარმოდგენილია დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც შეიცავს რიგ სარეკომენდაციო ხასიათის პროექტებსა და ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დედაქალაქში მდგრადი სატრანსპორტო სისტემის შემდგომი განვითარება 20-წლიან პერსპექტივაში. შემოთავაზებული პროექტების ნაწილზე მუშაობა უკვე დაწყებულია და აქტიურად მიმდინარეობს. მაგალითად, ასეთია თბილისის ავტობუსის სატრანზიტო დერეფნის პროექტი, რომლის ფარგლებში ეწყობა საავტობუსო ინფრასტრუქტურა. შევისყიდეთ 18-მეტრიანი ავტობუსები, რომელიც ეტაპობრივად მიეწოდება დედაქალაქს“**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მისივე თქმით, მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით მიმდინარეობს დადიანის ქუჩისა და სადგურის მოედნის დამაკავშირებელი ხიდის პროექტირების სამუშაოები – პროექტი გულისხმობს სადგურის მოედნის განახლებასა და საავტომობილო კავშირის შექმნას, რომელიც პრიორიტეტს საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიანიჭებს.

გარდა ამისა, კახა კალაძის განცხადებით, ეწყობა „ჭკვიანი“ სატრანსპორტო სისტემა, რომელიც შეამცირებს გადაადგილების დროს როგორც ავტობუსებისთვის, ისე კერძო ავტომობილებისთვის.

ამასთან, თბილისის მერის თქმით, თითოეული შემოთავაზებული პროექტისთვის გათვალისწინებულია მიზანშეწონილობის კვლევა, შესაბამისად, ყველა მათგანისთვის უნდა ჩატარდეს გავლენების ანალიზი.

სხდომაზე კახა კალაძემ იმ პროექტებზეც გაამახვილა ყურადღება, რომელსაც აღნიშნული სტრატეგია მოიცავს.

### დიდი დიღომი დედაქალაქის ცენტრს სარკინიგზო ტრანსპორტით დაუკავშირდება

**„სტრატეგია მოიცავს ისეთ უპრეცედენტო პროექტებს, როგორიცაა დიდი დიღმის კავშირი ქალაქის ცენტრთან სწრაფი და კომფორტული სარკინიგზო ტრანსპორტით – ეს შეიძლება იყოს ტრამვაი ან მეტრო. ზოგადად, დიდი დიღმიდან გამოსვლა დიდ პრობლემას წარმოადგენს, ისეა გადატვირთული აღმაშენებლის ხეივანი. ეს ასევე პრობლემაა საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის. შესაბამისად, ვგეგმავთ გარკვეულ ღონისძიებებს, მას შემდეგ, რაც წერეთლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება და მოძრაობა ორმხრივად აღდგება. იმისთვის, რომ დიდი დიღმის მოსახლეობამ შეუფერხებლად მოახერხოს გადაადგილება და საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ იყოს „გაჭედილი“ აღმაშენებლის ხეივანში, აუცილებელია საავტობუსო ზოლების მოწყობა. ეს ასევე საჭიროა მარშალ გელოვანის გამზირზე“**, –განაცხადა **კახა კალაძემ.**

მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა დაავალა ვიცე-მერ ირაკლი ხმალაძეს და ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელს, ვიქტორ წილოსანს, დაიწყონ მუშაობა სამოქმედო გეგმაზე, გაწერონ რეკომენდებულ ღონისძიებებზე მუშაობის დაწყების თარიღები, ხოლო შედეგები საზოგადოებას წარუდგინონ.

### შევინარჩუნოთ სპორტული ტრადიციები, დავამკვიდროთ ცხოვრების ჯანსაღი წესი

**დედაქალაქის მერმა აღნიშნა, რომ თბილისში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს.**

მისი თქმით, ბევრი პროექტი დასრულდა, რამდენიმე მიმდინარეა, ხოლო ნაწილი – დასრულების ეტაპზეა. მათ შორის, რეაბილიტაცია ჩაუტარდა გლდანის საცურაო აუზს, რომელიც ფუნქციონირებას თებერვლიდან დაიწყებს. ასევე, გაზაფხულზე დასრულდება დიდ დიღომში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოები.

**„სპორტული ტრადიციების შენარჩუნება, გაღრმავება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება ჩვენი ქვეყნის ძლიერი მომავლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამ მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ და მუშაობას მომავალშიც აქტიურად განვაგრძობთ. ქალაქის მასშტაბით, განხორციელდა სხვადასხვა პროექტი. მათ შორის, ვაზისუბნის დასახლებაში და დიდი დიღმის IV მიკრორაიონში დასრულდა ღია ტიპის სკეიტ-მოედნების მოწყობის სამუშაოები.**

**ასევე, ვაზისუბანში სრულდება ფეხბურთის მოედნის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში გაიხსნება; დასრულდა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სამი პადელის მოედნის სამშენებლო სამუშაოები. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ტერიტორიის კეთილმოწყობა. პადელის მოედნები გაიხსნება მიმდინარე წლის თებერვალში; დასრულდა გლდანის საცურაო აუზის რეაბილიტაცია. მიმდინარე წლის თებერვლიდან ცენტრი დაიწყებს ფუნქციონირებას“**, – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მისივე თქმით, დასრულების ეტაპზეა ლადო ასათიანის ქუჩის №50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობს ტრენაჟორებისა და ინვენტარის შესყიდვა.

### პასუხი გავცეთ მოძალადეებს! – ამაში საზოგადოება უნდა იყოს ერთიანი

**კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში მერიის თანამშრომლების მიმართ ფიზიკური ძალადობის გახშირებულ ფაქტებზე და მსგავს შემთხვევებში მკაცრი სამართლებრივი რეაგირების აუცილებლობაზეც გააკეთა განცხადება.**

კახა კალაძემ ვიცე-მერს, ირაკლი ხმალაძეს დაავალა, რომ შესაბამის უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მსგავსი ფაქტების მიმართ უსწრაფესად გატარდეს კანონის ფარგლებში არსებული უმკაცრესი ზომები.

**„იმისთვის, რომ ჩვენი ულამაზესი ქალაქი იყოს მუდმივად მოწესრიგებული, მგზავრობა იყოს უსაფრთხო, მანქანები იყოს სწორად დაპარკინგებული, არ ხდებოდეს უკანონო მშენებლობები, არ მიმდინარეობდეს ქაოსური გარე ვაჭრობა, სამშენებლო თუ სხვა სახიფათო მასალებით ქალაქის დაბინძურება და ა.შ., ჩვენი თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში თავდაუზოგავად შრომობენ და ახორციელებენ სამსახურებრივ მოვალეობას. კანონის აღსრულების პარალელურად, გახშირდა შემთხვევები, როცა ჩვენი თანამშრომლების მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების დროს, სამართალდამრღვევები შეურაცხყოფენ მათ და ზოგჯერ ფიზიკურადაც კი ეხებიან. ეს ყველაფერი მძიმე და კატეგორიულად მიუღებელია.**

**ამაზე თვალის დახუჭვას და გაჩუმებას არ ვაპირებ, რადგან ყველას გვინდა, უკეთესი ქალაქი გვქონდეს. არ აქვს მნიშვნელობა, ვის რა პოლიტიკური შეხედულებები აქვს, გვყავს შვილები, გვეზრდება მომავალი თაობა, წესრიგის დაცვა და ერთმანეთის პატივისცემა კი მნიშვნელოვანია. ამაზე საზოგადოება უნდა იყოს ერთიანი. ჩვენ მიერ არასწორად დაპარკინგებული ავტომობილი იწვევს უდიდეს პრობლემებს სხვა ადამიანებისთვის, ქვეითებისთვის, თუნდაც მათთვის, ვინც კერძო ავტომობილით გადაადგილდება. ამიტომ მინდა, დავავალო ვიცე-მერს, იმოქმედოთ კანონის შესაბამისად“**, – განაცხადა **თბილისის მერმა.**

## არასწორი პარკირებისთვის შარშან თბილისის მერიამ 19 მილიონის ჯარიმები აკრიფა!!!

**ფინანსთა სამინისტროს ხაზინამ 2023 წლის ბიუჯეტის 12 თვის შესრულების ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც მუნიციპალური ჯარიმების შესრულების შესახებაც არის ინფორმაცია.**

დოკუმენტის თანახმად, თბილისში წინა წელთან შედარებით ავტომობილის არასწორად პარკირების გამო დაწერილი ჯარიმების მოცულობა გახუთმაგებულია და მან 19,024,257 ლარს მიაღწია. ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსის თანახმად, პარკირების წესების დარღვევისთვის ჯარიმა 50 ლარიდან იწყება. რაც შეეხება მოძრაობის წესების დარღვევას, 2023 წლის განმავლობაში ცენტრალურმა და ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ჯარიმებიდან 216 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს.

## რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლებს კომპენსაციით ემარებიან

**დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლებისთვის, კომპენსაციებთან დაკავშირებით, შეთავაზების პროცესი ოფიციალურად დაიწყო.**

სამინისტროს ინფორმაციით, შესაბამის დოკუმენტებს თითოეული თანამშრომელი ინდივიდუალურად მიიღებს.

**„სპეციალური პაკეტი, რომელიც დასაქმების შესაძლებლობას, თუ ღირსეულ კომპენსაციას გულისხმობს, კლინიკის პერსონალს, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა, 22 იანვარს გამართულ შეხვედრაზე გააცნეს. შეთავაზებების პაკეტის მიხედვით:**

- **ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მხოლოდ რესპუბლიკურ საავადმყოფოშია დასაქმებული, კომპენსაციის სახით, ერთჯერადად, 12 თვის ხელფასით იქნება უზრუნველყოფილი;**
- **თუ კლინიკის თანამშრომელი სხვა დაწესებულებაშიც მუშაობს, კომპენსაციის სახით, ოთხი თვის ხელფასს მიიღებს;**
- **სამედიცინო პერსონალი, რომელიც 12-თვიან კომპენსაციაზე უარს განაცხადებს, ჯანდაცვის სამინისტრო, სხვა სამედიცინო კლინიკაში, იმავე პოზიციაზე დასაქმებასა და ოთხი თვის ხელფასის ოდენობით კომპენსაციას შესთავაზებს;**
- **სამედიცინო პერსონალი, რომელიც არ მუშაობს სხვა დაწესებულებაში და სამინისტრო ალტერნატიულ სამსახურს ვერ შესთავაზებს, უწყება სამი წლის განმავლობაში, დასაქმებამდე, ყოველთვიურ სახელფასო ანაზღაურებას გადაუხდის.**

**რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლებმა, შეთავაზებებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება 14 დღის განმავლობაში უნდა მიიღონ, რის შემდეგაც შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები დაიწყება. მნიშვნელოვანია, რომ კლინიკის თანამშრომელთა უფლებები სრულად იქნება დაცული. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მათი ნაწილი, სამინისტროს ჩართულობით, სხვადასხვა სახელმწიფო კლინიკაში უკვე დასაქმდა. პროცესს, უშუალო ზედამხედველობას, შრომის ინსპექციის სამსახური გაუწევს“**, – ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## სოციალურად დაუცველი ოჯახის გამოსახლება გადაიდო

აღსრულების ეროვნულმა ბიურომ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე კაკიაშვილების ოჯახის გამოსახლება გადადო. ამის შესახებ ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს პრესსამსახურმა დაადასტურა.

როგორც უწყებაში ამბობენ, ოჯახს მიეცა დამატებითი ვადა პრობლემის მოგვარებისთვის.

**„აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, გადაიდოს დღევანდელი გამოსახლების პროცესი, რადგან ოჯახი სოციალურად დაუცველია, მათ ოჯახში ასევე ჰყავთ ორი არასრულწლოვანი და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გადაიდო დღევანდელი პროცესი, ასევე ოჯახს მიეცა დამატებითი ვადა მოლაპარაკებებისთვის“**, – განაცხადა აღსრულების ეროვნული ბიუროს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა პაატა შამუგიამ.

ცოტნე დადიანის ქუჩაზე ოჯახის მეზობლები და მხარდამჭერები იმყოფებოდნენ. მათ ეზო ბარიკადებით ჰქონდათ შემოღობილი.



# ქართული პოეზიის რაინდი

## ჯემალ ინჯია

### მარიამ მოგელაშვილს

თუნდაც ნასახი ჩემი აურის
აღარ გადარჩეს, გწამდეს, მარიამ,
შენგან მოძღვნილი ლომიაური
ვირუსთან ბრძოლის ჩემი ფარია.

მსურს, მარტო დავთვრე,
ბედის მძევლებთან
დიდ იმედს ვინც სულ ვანანავებდი.
კაცობრიობას ვადღეგრძელებ და
საქართველოსთან ვარ ალავერდი.

* * *

ეს არ იცოდა ოტელომ,
ვერაგი სიბოროტე რომ
კაცს უსაფრდება ყოველთვის,
თუკი დაუდგა მომენტი.
ოტელომ ჭორი შეჭამა
სულსწრაფად, დაუღეჭავად.
ახლა სინდისი ვის ქენჯნის –
ჩვენ კომუნიზმიც გვაჭამეს
ისე, თითქოსდა ზღვის კენჭი
გადაეყლაპოს აჭარელს.
ამ ყველაფერზე გამჩენი
პასუხს არ აგებს, ვერ აგებს
და გვცდის, რამეთუ გვაჩვენებს
უხვად მოდებულ ვერაგებს.

* * *

გადავუხვიეთ მთავარ მაგისტრალს,
ედემს მივედით, გაჰქრა მირაჟი.
ცვარი დამეცა დაბა მანგლისთან
ერთ ხეივანში.
და დავინახე: უცნობი მხატვრის
მიერ შექმნილი ნაზი ტილოდან
გადმოდიოდა ღვთიური მადლი –
ვაზი ტიროდა.

* * *

ახლა რომ გაცოცხლდეს მამაჩემი,
ჩემი „რჩეული“ რომ დაინახოს,
მეტყვის, კვიმატობას დანაჩვევი,
ეს რა გიქნიაო, მაიმახო.

ჩემით იამაყებს დაუსწრებლად:
„ჩვენ ხომ პოეზიას ვწერთ ხელთუქმნელს!“
გული სიხარულით გაუსკდება,
გული,რაც გაუსკდა ერთხელ უკვე.

### შემოდგომა ხვანჭკარაში

ზეიმის ფერხულში ჩაბმულა ხვანჭკარა
ქვაბით ხორცს ხარშავენ, იწვება მანჭკვალაც,
არ ეპუებიან საწუთროს ულმობელს,
ჭრილობებს მარილს არ აყრიან, ხუმრობენ.

ლამაზი რაჭველი ბავშვების გნიასი
თანდათან ჩაწყნარდა და მათი ნიაზი
ახლა ხის საწნახლის გარშემო დგომაა.
რა სახილველია! რა შემოდგომაა!

### ერთი ლექსის გახსენება

როდესაც წვიმა ქუჩაში გაწვიმს
და გკაწრავს, როგორც ეკალი ქაცვის,

ღელე რომ ხდება შავი არაგვი,
კაცს მაშინ წვიმა სევდას არა გვგრის.

მაგრამ წვიმას თუ შეასწრებ სახლში,
დაგეუფლება მოწყენა მაშინ

განწირული ხარ იმ დღეს წვიმისთვის,
ხდები უღონო და პესიმისტი.

თავო გულგრილო ყველაფრის მიმართ,
მელანქოლიის მომგვრელი წვიმა

შენც დაგემუქრა გულის შეტევით
და გამოგტაცა ლექსი შედევრი.

### „ჩახედე მეგობარს თვალებში“

მღერიან და ამ სიმღერამ
ამოატივტივა კაცი:
ის შენ ყოველთვის ცალყბად
გპატიჟებდა,
ცალყბად გაქებდა,
რიოში მარგალიტებით გამკობდა -
არც ერთი არ იყო ნამდვილი.
უხსოვარი დროიდან მოგდევდა
და ასეთი ხასიათი ჰქონდა -
შეუცვლელი,
მტკიცე,
მდგრადი.
შენს დაკრძალვას არ გააცდენს,
გწამდეს.
ბადიშებში იტრაბახებს –
ნამდვილი მიწა მივაყარეო.

### გავრცელებული მიკრობი

მე ეს ბატონი მაგონებს მიკრობს,
მეცნიერთათვის საკმაოდ ნაცნობს.
ერთს ამბობს, მაგრამ მეორეს ფიქრობს,
მე ეს ბატონი მაგონებს მიკრობს.
ჩემს თვალში მისმა წონამაც იკლო,
თავადაც ცელქი ბიჭივით ანცობს.
მე ეს ბატონი მაგონებს მიკრობს,
მეცნიერთათვის საკმაოდ ნაცნობს.

### მედროვის ეპიტაფია

ეს ატარებდა დროს
ყველა მთავრობის დროს.

* * *

ფატარიძე იგორთან
გავიხსენე იკორთა.

### საახალწლო საჩუქარი

არ სწამს გრძნობა ლუდას თურმე
დობილური, ძმობილური
და სიყვარულს უდასტურებს
ჯეკს ლუდმილა მობილურით.

* * *

მტკვარს გადასცქერის გულჩათხრობილი
აშუღი, ეთიმ-გურჯად ხმობილი.

* * *

დრომ აღმიტაცა
მაღლა, ვითარცა
გაუხედნავი
ცხენის მხედარი.

მოვფრინავ ციდან
და ერთი ციდა
ძახილის ნიშნად
ვასკდები ქვიშნარს.

### ძველი მეურმის ეპიტაფია

უცხო ქვეყანა კი არ უნდა დამეხარკა მე,
ეს არ მეწერა რჯულში ჩემი
წინაპრისაგან.
აღზევნისაკენ ვუმღეროდი ღამე
ხარ-კამეჩს,
ღრუბელი ჩრდილად მადგებოდა,
წვიმა – პირსაბნად.

ოჯახისთვის სხვა ქვეყანაში ვიძენდი
მარილს,
მწყურვალს ხანდახან ჩემი თოფის
ლულა მილოკავს.
შემინდეთ ცოდვა თუ საძრახი თვისება არის,
რომ გულის ბუხრით ვერ ვათბობდი
უმარილო კაცს.

# ეროვნული მუზეუმი მზადაა, დაეხმაროს აფხაზ სპეციალისტებს

ეროვნული მუზეუმი გამოხატავს მზადყოფნას, აღმოუჩინოს დახმარება ოკუპირებული აფხაზეთის სამხატვრო გალერეას დაზიანებული ექსპონატების რესტავრაციის პროცესში. ამის შესახებ მუზეუმის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.



**„სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი მწუხარებას გამოთქვამს ოკუპირებული აფხაზეთის სამხატვრო გალერეაში 21 იანვარს მომხდარი ხანძრის გამო. ეროვნული მუზეუმი გამოხატავს მზადყოფნას, სამხატვრო გალერეის სპეციალისტებს აღმოუჩინოს დახმარება დაზიანებული ექსპონატების რესტავრაციის პროცესში და, ამ მიზნით, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის რესტავრატორებისაგან შექმნას სპეციალური ჯგუფი“**, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# დიდი ნიკალას „ირმის“ ავთენტურობა დამტკიცებულია



**შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიაში კერძო კოლექციის ფერწერულ ნამუშევარს – „ირემი“ – საექსპერტო კვლევა ჩაუტარდა და ნიკო ფიროსმანაშვილის ავტორობა დადასტურდა.**

ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიის დასკვნა ნიკო ფიროსმანაშვილის ფერწერული ნამუშევრის – „ირემი“ – ავთენტიკურობის შესახებ გადაეცა მესაკუთრეს და მას დაუბრუნდა კვლევისათვის ლაბორატორიაში წარმოდგენილი ფერწერული ტილო.

საექსპერტო დასკვნის გადაცემის ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი, საექსპერტო ლაბორატორიის პარტნიორი, თოდუას კლინიკის გენერალური მენეჯერი გიორგი დიასამიძე, მხატვრები, მათი ოჯახის წევრები, გალერისტები, ხელოვნებათმცოდნეები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

2023 წლის 2 აგვისტოს ირაკლი ფარჯიანის სახელობის ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის ლაბორატორიას საექსპერტო კვლევის ჩასატარებლად მიმართა მოქალაქე ლაშა შენგელიამ და წარადგინა კერძო კოლექციის ფერწერული ნამუშევარი „ირემი“, რომელსაც ახლავს ხელმოწერა: „ნიკო ფიროსმანაშვ...“

ეს არის მუყაო, ტილოზე დუბლირებული და ქვეჩარჩოზე. ნახატი შესრულებულია ზეთით, ზომა – 80,5ხ102. ნამუშევარი რესტავრირებულია.

საექსპერტო კვლევა მიზნად ისახავდა ნამუშევრის ავთენტიკურობის განსაზღვრას, რაც მოიცავს კომპლექსურ-სახელოვნებათმცოდნეო და ტექნოლოგიურ კვლევას. კომპლექსური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები და მათი შედარება ხელოვნების მუზეუმის კოლექციაში დაცული ნიკო ფიროსმანაშვილის ორიგინალების კვლევის შედეგებთან, ასევე – სამეცნიერო პუბლიკაციებზე დაყრდნობით გაკეთებული ანალიზი, ლაბორატორიის ესპანელი ექსპერტის, ენრიკე პარას, პროფესიონალური კონსულტაცია და მისი აქტიური მონაწილეობა კვლევით პროცესში ადასტურებს, რომ ლაბორატორიაში წარმოდგენილი ფერწერული ნამუშევრის „ირმის“ ავტორია ნიკო ფიროსმანაშვილი. ნამუშევრიდან აიღეს ნიმუშები და მოამზადეს ისინი საკვლევად. ნიმუშების კვლევა ჩატარდა რამანის ოპტიკური მიკროსკოპით, ლუმოსის ინფრაწითელი სპექტროსკოპით; ასევე, ჩატარდა ნიმუშების მეტალიზაცია (მოოქროვება) და კვლევა ელექტრონული მიკროსკოპით. გაიშიფრა მიკროსკოპებით კვლევის შედეგად გაზომილი სპექტრები და მოხდა მათი ინტერპრეტაცია.

ინფორმაციისთვის: 2023 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ირაკლი ფარჯიანის ფონდის თანამშრომლობით შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ამიერკავკასიაში პირველი ხელოვნების ნიმუშების კვლევისა და ექსპერტიზის სახელმწიფო ლაბორატორია, რომელსაც ირაკლი ფარჯიანის სახელი მიენიჭა.

ლაბორატორია მოწყობილია თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღჭურვილია უმაღლესი ტექნოლოგიური აპარატურით. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიის შექმნის იდეა გაჩნდა 2021 წლის ივლისში, როდესაც საქართველოს კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა და ირაკლი ფარჯიანის ფონდის თავმჯდომარემ მიხეილ ჯიქიამ სოფო ფარჯიანის ხელშეწყობით ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს.

ლაბორატორიის უმთავრესი მიზანი და ფუნქციაა საქართველოსა და ამიერკავკასიის რეგიონში ხელოვნების ნიმუშების კომპლექსური საექსპერტო კვლევების ჩატარება და ნამუშევრების ავთენტიკურობის დადგენა უახლესი აპარატურისა და ტექნოლოგიების მეშვეობით.

საქართველოში აქამდე მსგავსი ფუნქციებისა და შესაძლებლობების ლაბორატორია არ ყოფილა და მისი გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ხელოვნებისა და ხელოვანებისთვის, მათი შემოქმედებისა და უფლებების დაცვისთვის.

# საბუდარელი ჭაბუკი სოფელს სწორედ ახლა უნდა დაუბრუნდეს!




**ჩემი გეგმა – სცენარი, თავის დროზე გავაცანი კინორეჟისორებს რეზო ჩხეიძეს და თენგიზ აბულაძეს, რადგან კინოეკრანიდან ვერ ვაწვდიდით მაყურებელს ინფორმაციას. კარგი დროის ლოდინით ჩვენ ცუდ დროს ვახანგრძლივებდით.**

რეალური იქნებოდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მებაღეთა ამხანაგობის აგარაკების ტერიტორიაზე მოხალისე ოჯახები საბაღე სახლებში დამკვიდრებულიყვნენ და თვითდასაქმებით, საზრდო მოეპოვებინათ. აუცილებელია ქალაქელებმა ჩვენი გენეტიკური პროფესია – მიწათმოქმედება უფრო ძალუმად გავიხსენოთ.

კინომოღვაწეებმა კარგად ვიცით, რომ სოფელი ბალავარია ქვეყნის ძლიერებისა და კინომუშაკთა მოქმედება ჩაითვლება სულიერ შემოქმედებით აქტივობად.

1995 წლის ოქტომბერში „თბილისობის“ დღესასწაული აღორძინდა და დღესასწაულის ერთ-ერთი ეპიზოდი ჩატარდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მებაღეთა ამხანაგობის ტერიტორიაზე. ტერიტორიას ისტორიული სახელი ბროწეულა დავუბრუნეთ და კინოსოფელი ვუწოდეთ, ქუჩებს იმ საამაყო კინოხელოვანთა სახელები დავარქვით, რომელნიც მსოფლიო ეკრანმა აღიარა და თავიანთი კვალი დაატყვეს აქაურობას. დავრგეთ 500 ძირი ფიჭვის და ბროწეულის ნერგები. ღირსეულ მეურნეებს გადავეცით მადლიერების სიგელები.

კინოსოფლის ზეიმ-დათვალიერება „ბროწეულობას“ ტრადიციულად შემოდგომობით ვატარებთ. ბროწეულობამ განწყობა შეუქმნა კუმისში „თბილავიამშენის“ მებაღეებსა და გლდანის „ელმავალმშენის“ მებაღეებს, რომლებმაც ერთჯერადად მოაწყეს თავიანთი ზეიმები.

ტელეკომპანია „ევრიკაში“ (დღევანდელი საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“) ყოველ კვირას საეკლესიო-საავტორო გადაცემები მიგვყავდა. გადაცემის წამყვანი გახლდათ მღვდელი ზაქარია (ზ. ძინძიბაძე).

შემოდგომის ერთ-ერთ საღამოს მამა ზაქარიამ პატრიარქთან მიმიწვია. ნახევრად ჩაბნელებული თბილისი რომ გავიარეთ, შავნაბადას მონასტერში მივედით. სასულიერო პირებთან ერთად (მამა შიო გაბრიჭიძე, მამა ტარიელ სიკინჭილაშვილი), იქ დაგვხვდნენ დავით იაკობიძე, მამუკა ხაზარაძე და სხვები.

**პატრიარქმა ილია II-მ აგვიხსნა შეკრების მიზანი:**

**– დღეს ძალიან გაჭირდა ცხოვრება, ეს იგრძნობა ქალაქში, იმიტომ, რომ ხალხი ხელფასით ცხოვრობს. ხელფასი ან ძალიან დაბალია, ან საერთოდ არც კი ეძლევათ. სოფელში პირუტყვი ჰყავთ, რძე და რძის ნაწარმი აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ სულიერად უჭირთ, და პატრიარქმა გვთხოვა გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრებები არსებული კრიზისიდან გამოსასვლელად. ზოგმა ფერმები ავაშენოთო, ზოგმა ნაკურთხი წყალი და ღვინო გავყიდოთო, ზოგმა ბანკი გავხსნათო, ზოგმა ყვავილების გაშენება დავიწყოთ და საზღვარგარეთ გავყიდოთო.**

– მე ვთქვი: 1965-1975 წლებში სასურსათო პროგრამის ფარგლებში თბილისელებს „მებაღეთა ამხანაგობის“ (კოოპერატივი) ფორმატით ქალაქის შემოგარენში მიწის ნაკვეთებს გვინაწილებდნენ. ოჯახზე 600 კვ.მ., რომ ჩვენი საზრდო თვითონვე შეგვექმნა.

**– აგარაკებს გულისხმობთ? – იკითხა პატრიარქმა.**

**– დიახ, უწმინდესო. მოსახლეობას გადასცეს 200 ათასამდე ნაკვეთი ქალაქების შემოგარენში, მწირი, უკაცრიელი, ტექნიკისადმი მიუდგომელ ადგილებში. ქ. ქუთაისის შემოგარენში, წყალტუბოს გზაზე; ქ. სოხუმის სოფელ კელასურის ტერიტორიაზე; ქ. ზესტაფონში მდინარე ყვირილას მარცხენა სანაპიროზე: ქ. ცხინვალის ჯავის გზატკეცილზე, ქ. გორის სოფელ სკრასთან და სხვა რეგიონებში. ქ. თბილისის მებაღეთა ნაკვეთები ძირითადად თავმოყრილი იყო კასპის, დუშეთის, თეთრიწყაროს, მარნეულის, გარდაბნის მუნიციპალიტეტებში.**

– ეს ხომ XXI საუკუნის სოფელია! – ბრძანა უწმინდესმა, ჩვენ მემკვიდრეობით და უმტკივნეულოდ შევძლებთ ჩვენი სამაშველო გზის გამოყენებას და არა ზედაპირული მიდგომით ყოველივე ძველის დანგრევას. ისეთი ქართული სოფელი შეიქმნება, რომელიც გაერთიანდება, უპირველეს ყოვლისა, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოებით და ეროვნული თვითშეგნებით, ქართველები დასახლდებიან ჩვენს მიწა-წყალზე და აღორძინდება ცხოვრება.

**– თქვენ კინოსოფელ ბროწეულას მომავალს როგორ ხედავთ?**

ქართული კინოს მუშაკებმა 1967 წლიდან მარტყოფის თემში „მებაღეთა ამხანაგობის“ ყამირი მიწების წალკოტად გადაქცევა დავიწყეთ. მიწისადმი სიყვარულმა და დრომ ნაყოფი გამოიღო.

მაგონდება, როგორი გაბრწყინებული სახით ყვებოდა კინოდოკუმენტალისტი გიორგი ასათიანი, რომ 50 ცალი ატამი მოკრიფა. როგორი გულმოდგინებით ბარავდა მიწას კინორეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი, სარეველასა და ქვა-ღორღისგან როგორ იყო გაწმენდილი კინორეჟისორ დავით რონდელის ნაკვეთი. ეროსი მანჯგალაძე ამბობდა: ვაშლის ბაღს გავაშენებო. ნაკვეთში მომუშავე მსახიობ იპოლიტე ხვიჩიას დანახვისას, კახეთისკენ მიმავალმა მგზავრებმა, კინოსტუდიის მებაღეობის ბაქანს „ხვიჩიას ბაქანი“ შეარქვეს; ქალაქელებს კოტე დაუშვილი გვარწმუნებდა: შრომით და მოთმინებით აქაურობა დამშვენდებაო; პირველი ქართული მულტფილმის „არგონავტების“ ავტორის ლადო მუჯირის ოჯახმა ნაკვეთის მომიჯნავე ტერიტორიაზე ფიჭვის ხეები გაახარა და მიკროკლიმატი შექმნა.

რეზო თაბუკაშვილმა გაიხსენა, კინოფილმ „კუნძული ტექსელის“ სცენარზე მუშაობისას, ჰოლანდიაში, მასპინძელმა ჰოლანდიის ღირსშესანიშნაობები დაგვათვალიერებინა, ბოლოს თავისი მამული გვიჩვენა და ძვირფასი აპარტამენტების შემოვლის შემდეგ „გაკრიალებულ“ ოთახში შეგვიყვანა, სადაც ღორი დარბოდაო... რეზო თაბუკაშვილს უკითხავს, რისთვის ინახავ ამ ღორსო. მასპინძელს უპასუხია, – თითოეულმა ადამიანმა უნდა იზრუნოს თავის თავზე და ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფაზეო.

1998 წელს, ქართული კინოს 90 წლისთავის აღსანიშნავად, დიღმის კინოსტუდიის ტერიტორიაზე წმ. ლაზარეს ეკლესიის შემოგარენში, კინემატოგრაფისტებმა სიმბოლურად 90 ფიჭვის ნერგი დავრგეთ, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა „დედამიწის მეგობრების“ წევრები, სატყეო დეპარტამენტის მუშაკები. ეს ღონისძიება მიეძღვნა გაეროს მიერ დაწესებულ დედამიწის დაცვის დღეს. აქცია იმდენად შთამბეჭდავად ჩატარდა, რომ მასმედიის ყველა საშუალებამ გააშუქა. მეორე დღეს საინფორმაციო წყაროებმა გვაუწყეს, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ კრწანისის რეზიდენციაში ერთი ფიჭვის ნერგი დარგო. დედამიწის დაცვის აქციის განწყობა რეგიონებმაც აიტაცეს.

ინტერნეტის და მობილური ტელეფონების ეპოქაში კომპიუტერის სწავლით სწრაფად ღებულობენ შედეგს. ბიოლოგიური თვისებები ხეჭეჭურის მსხლის ნერგს არ შეუცვლია – ნაყოფს თხუთმეტი წლის შემდეგ იძლევა (ფილმი „ნერგები“, სცენარის ავტორი სულიკო ჟღენტი, რეჟისორი რეზო ჩხეიძე), კაკალი – 10 წელიწადში, ბროწეული – 5 წელიწადში... როცა აკვირდები, გაზაფხულზე როგორ ამოდის ნერგი, გრძნობ, რომ ეს არის და იქნება ზნეობრივი საწყისის მატარებელი... თუ ადამიანს უყვარს მიწა, მაშინ საზოგადოება ჯანმრთელია და გააჩნია უნარი, აღუდგეს ყოველგვარ გრიგალს. ეს პროცესი უნდა დარჩეს განუწყვეტელი, რათა მემკვიდრეობით მივიღოთ ცოდნა, გამოცდილება, რომელიც გვერგო წინაპრებისგან.

დღეს, როცა ქვეყანაში ინტენსიურად ხორციელდება მაგისტრალური გზების მშენებლობა, საჯარო რეესტრში გამარტივდა „მებაღეების“ მიწის ნაკვეთების გაფორმება, ხელი ეწყობა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყებას, ახალგაზრდების ჩართვას შრომით ფერხულში, უმჯობესდება დემოგრაფიული ფონი, არაქართულენოვან მოსახლეობას უადვილდება სახელმწიფო ენის შესწავლა, დროულად მიგვაჩნია, მივიღოთ იდენტური კანონი ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის – „თბილისის კორპუსის“ შესახებ, რომლის მიზანი იქნება საერთო ქონების მოვლა-პატრონობა, მოსახლეობის გაერთიანება თავიანთი კორპუსების ეზოს კეთილმოსაწყობად. მათ თვითმმართველობასთან ერთად უნდა მოაგვარონ კორპუსებში წარმოქმნილი პრობლემები.

დღეისთვის ბროწეულაში, სხვადასხვა კუთხის მოხალისე თბილისელების ორასამდე ოჯახი დამკვიდრდა. ჩვენი კარ-მიდამოს მოვლა-პატრონობით ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაში შეგვაქვს მცირედი წვლილი და ვქმნით მიკროკლიმატურ გარემოს. კინოსოფელში შემოყვანილია ბუნებრივი აირი, ქართული ფილმის ქუჩაზე დაგებულია ასფალტი და მოწყობილია გარე განათება.

„მებაღეთა ამხანაგობის“ (კოოპერატივების) სავარგულების უმეტესობა მიტოვებულია და ელოდება მშველელ-პატრონს. როცა ხელისუფლება სოციალური პოლიტიკის გატარებას უფრო მონდომებით შეუდგება, დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ კანონის მიღებით, მოსახლეობა შეძლებს არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

1889 წლის 1 მაისს, 134 წლის წინ, გერმანიაში ეროვნული აღორძინების დარაზის ხიბლით შეიქმნა რაიფაზენის გაერთიანება, მის წევრებს ჰქონდათ მიწა, მაგრამ არ ჰქონდათ ტექნიკა და ფინანსები. ხელისუფლების ხელშეწყობით, რეალური თანამშრომლობით (დღეისათვის არსებული მონაცემებით) მოქმედებს 3211 რაიფაზენის მეურნეობა, რომლის ბრუნვა წლიურად 36,4 მილიარდ ევროს შეადგენს და ქვეყნის 15,5 მილიონ მოქალაქეს აერთიანებს.

იწყება აბრეშუმის გზის ამოქმედება. ძალას იკრებს ადგილობრივი წარმოება, ვითარდება ტურიზმი და კურორტები, რისთვისაც დამატებით ქართული წარმოების ეკოლოგიურად სუფთა სურსათ-სანოვაგე დაგვჭირდება. საამისოდ ხომ მებაღეთა ამხანაგობების განვითარება ერთობ სასარგებლოა.

ჩვენ უნდა ვიყოთ ევროპელები ჩვენი ცხოვრების დონით და წარმოების კულტურით, სადაც არც ერთი მტკაველი სავარგულიც კი არ იქნება დაუმუშავებელი. ჩვენი სულით, წეს-ჩვეულებით და ადათ-წესებით უნდა დავრჩეთ ქართველნი, მიწათმოქმედნი და განუმეორებელი სახით წარვდგეთ მსოფლიოს წინაშე!

* * *

**საქართველოს პატრიარქის ილია II-ს ლოცვა კურთხევით კინოსოფელ „ბროწეულაში“ შენდება წმ. ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის) სახელობის ტაძარი, რომლის დასრულებისთვის „თიბისი“ ბანკში გახსნილია ანგარიში:**

**ბანკის კოდი: TBCBGE22**
**ა/ნ GE53TB1100000360800248.**

**ღმერთი იყოს თქვენი შემწე!**

**გვინდა „კინოსოფელი ბროწეულა“ არამარტო სანახაობად ვაქციოთ, არამედ სახელმძღვანელოდ მომავალ თაობათათვის.**

**საქმე, რომელსაც იძულებით აკეთებ, კატორღის ტოლფასია, ხოლო სიყვარულით, რწმენით გაკეთებული საქმე შემოქმედებაა.**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ერთ-ერთ საკვირაო ქადაგებაში აღნიშნა: „დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება გამოვიდეთ ამ მძიმე მდგომარეობიდან, მრავალმა იპოვა გამოსავალი და სოფელში მიდის. თბილისთან ახლოს არის ერთი პატარა სოფელი ბროწეულა. რომელიც სულ ახლახან დააარსა კინოსტუდიამ. პირუტყვი მოაშენეს და ფაქტობრივად ამ გზით გადაარჩინეს ოჯახები. როცა დახმარებას ველოდებით უცხოეთიდან ან რომელიმე კერძო პირისგან, ეს ცუდია, მოლოდინი რყვნის ხალხს, ადამიანმა უნდა გამოძებნოს საშუალება იმისა, რომ თავი ირჩინოს. ბედნიერია ის, რომელიც თავისი შრომით ჭამს ლუკმაპურს“.**

**ჭეშმარიტად რომ ასეა!..**

**გივი ყურელი,**
კინოდოკუმენტალისტი

## კინოსოფელი ბროწეულა „აბრეშუმის გზაზე“

ბროწეული – მარადისობის სიმბოლო

ყველაფერი ძველდება მზის ქვეშეთში, ცვდება, იფიტება, მტვრად და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს...

მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს ბროწეულის ლოროთქო ფესვები კადნიერად გაჭკვეთენ ქვიან ბალავარს და სარკოფაგის ათასწლოვანი სიგრილიდან კვლავ აღორძინდა სიცოცხლე...

ღმერთო! სამშვენელს გარემოს მიეც დიდება და ბროწეულას ბაღებისკენ გზები სავალი...

შეგვიყვარდა ბროწეულის ყვავილი, ეს გრძნობა ყოველთვის თან დამყვება და ვოცნებობ

კინოსოფლის ბაღებში ბროწეული აყვავილდეს, აყვავილდეს, აყვავილდეს ჩვენ გვინდა...



ბევრჯერ მოვწურავთ მწიფე ბროწეულს
კვლავაც შევტყორცნით ცაში ოცნებას
ბევრჯერ ვიმღერებთ კიდევ, რაც გვახსოვს
რაც სიცოცხლეში გულმა მოძებნა.
ამას იძახის ქართველი, სოფელში დამკვიდრებული,
რაც უნდა სიძნელე დამხვდეს სიყვარულით იქნება გადაძლეული.
ბროწეულას ბაღში მნახე ვინა ვარ
მიწის ყადრის მცოდნე მნახე ვინა ვარ
კინოსოფლის მკვიდრი მნახე ვინა ვარ
მე კაცი ვარ. ორკაცობა არ მიჩდა
მე გული მაქვს, ორგულობა არ მინდა
შენი ბაღი ჩემი ბაღის გვერდით იყოს ის მინდა,
შუაშიაც გადაღობვა არ მინდა.
ამას იძახის ქართველი სოფელში დამკვიდრებული,
რაც უნდა სიძნელე დამხვდეს
სიყვარულით იქნება გადაძლეული.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია II „კინოსოფლ ბროწეულაში“ მოხალისე თბილისელების დამკვიდრებაში დაინახა „XXI საუკუნის სოფელი“ მისი ლოცვა-კურთხევით დაიწყო წმ. ილია მართლის (ი. ჭავჭავაძის) სახელობის ტაძრის აგება.

წმ. ილია მართლის სახელობის ტაძრის დასრულებისათვის თიბისი ბანკში გაიხსნა ანგარიში:
ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ნ GE53TB1100000360800248.

შემომწირველნი, შეძლებისდაგვარად, გაღებული თანხით გამოვხატავთ ერთსულოვნებას, ჩავერთვებით ქართული სოფლის აღორძინებაში და მივაგებთ სიყვარულს ქართული კინოსადმი.

**P.S. შემომწირველნო, შეძლებისდაგვარად, გაღებული თანხით გამოვხატოთ ერთსულოვნება, ჩავერთოთ ქართული სოფლის აღორძინებაში და მივაგოთ სიყვარული ჩვენს მარჩენალ მიწას!**

## 100 წელი გვამზე ზრუნვაში

**21 იანვარს ასი წელი შესრულდა რუსი რევოლუციონერის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) დამფუძნებლის, 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორისა და მსოფლიო ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, ვლადიმირ ლენინის (ულიანოვი) გარდაცვალებიდან.**



ვლადიმირ ლენინი მავზოლეუმში.

# ლენინი – სტალინზე უკეთესი თუ უარესი?

**საბჭოთა იდეოლოგიამ და ისტორიოგრაფიამ ლენინისაგან შექმნა ნამდვილი კერპი, რომლისთვისაც უცხო იყო ადამიანური სისუსტეები. საბჭოთა კავშირში მიღებული ერთადერთი იდეოლოგიის მიხედვით, ლენინი იყო არა ჩვეულებრივი პოლიტიკოსი ან ადამიანი, არამედ ნამდვილი ბრძენი, ერთგვარი იდეალური ადამიანი, რომელსაც არაფერი ეშლებოდა. საბჭოთა პროპაგანდამ მისგან შექმნა მითი შეუმცდარი პოლიტიკური წმინდანისა. არადა, სამყარო დღემდე იმკის ლენინის მიერ დათესილი ბოროტების სისხლიან მოსავალს, რომ არაფერი ითქვას მის ადამიანურ სისუსტეებსა და შეცდომებზე, რომელთა შორის, ალბათ, ყველაზე თვალსაჩინო მსოფლიო რევოლუციაა, რომელიც არ მოხდა. მეტიც, უდღეური აღმოჩნდა თვითონ ლენინის პირმშო, პირველი სოციალისტური ქვეყანა საბჭოთა კავშირის სახით.**

### ლენინი და საქართველო

2023 წლის დეკემბერში გარდაცვლილი ქართველი კინორეჟისორი, ოთარ იოსელიანი, 2008 წელს, კიევში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე მოჰყვა ასეთ ისტორიას:

**„თბილისში, როცა ბოლშევიკებმა 1921 წელს აიღეს ქალაქი, პირველი რაც გააკეთეს იყო ის, რომ დაუდგეს ძეგლი ლენინს. ამის შემდეგ ყოველ დილით ქალაქელები რომ გამოდიოდნენ ქუჩაში, ხედავდნენ ლენინს, რომელსაც თავზე ედგა განავლით სავსე ღამის ქოთანი. ცხადია, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან დარაჯი მიუჩინეს. ასეთ რამეს დამსახურება უნდა“.**

როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევრები ამბობენ, ლენინმა ნამდვილად დაიმსახურა, რადგან, ისტორიკოს დიმიტრი შველიძის თქმით, სწორედ ვლადიმირ ლენინი იყო საქართველოს დაპყრობის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი.

**„ლენინმა დაპყრობის პირველი ცდა 1918 წლის დასაწყისში განახორციელა, როცა საქართველო ჯერ კიდევ ამიერკავკასიის ერთიან პოლიტიკურ წარმონაქმნში – ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის შემადგენლობაში შედიოდა. ამიერკავკასიის გასაბჭოება ლენინის ჩანაფიქრით უნდა განეხორციელებინათ ოსმალეთის ფრონტიდან დაბრუნებულ რუსეთის არმიის ნაწილებს, რომელნიც კავკასიის გავლით რუსეთში ბრუნდებოდნენ. 1918 წლის იანვარ-თებერვალში ლენინის ეს გეგმა ჩაიშალა ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს ენერგიული ღონისძიებების შედეგად“.**

ო. იოსელიანის ღამის ქოთნის ამბავი დოკუმენტურად არ დასტურდება, მაგრამ ბიუსტის დადგმის ამბავი სინამდვილეს შეეფერება: ლენინის პირველი ბიუსტი თბილისში 1921 წელს დაიდგა და მისი ავტორი მოქანდაკე ვ. ანდრეევი იყო.

1920 წლის დასაწყისში ლენინს საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებას უცდიდა. 1920 წლის 17 მარტს ის სერგო ორჯონიკიძეს დეპეშით აძლევს მითითებას:

**„ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა. მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ... იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ, მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ. ჯარების გადაყვანაზე შეუთანხმდით მთავარსარდალს“.**

ლენინი იმის გამო, რომ ერიდებოდა საერთაშორისო გართულებას, სტალინსა და ორჯონიკიძეს ავალებდა, დალოდებოდნენ ხელსაყრელ მომენტს და საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია სახალხო ამბოხების სახით მოეხდინათ. ხელსაყრელი მომენტი 1921 წლის 26 იანვარს დადგა, როცა რკპ (ბ) (რუსეთის კომუნისტური პარტიის) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო ლენინის მიერ დაწერილი დადგენილების პროექტი, რომელმაც ფაქტობრივად გადაწყვიტა საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმა. 14 თებერვალს კი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ დაამტკიცა XI წითელი არმიის სარდლობისათვის გასაგზავნი დეპეშის ტექსტი, რომელიც ლენინის მიერ იყო შედგენილი:

**„ცენტრალური კომიტეტი ემხრობა აზრს, რომ მეთერთმეტე არმიას ნება დაერთოს, აქტიურად დაუჭიროს მხარი აჯანყებას საქართველოში და დაიკავოს ტფილისი იმ პირობით, რომ საერთაშორისო ნორმები დაცული იქნება“.**

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ტექსტის ერთ-ერთი ადრესატი სწორედ ლენინია.

**„მოსკოვი, კრემლი. ლენინს, სტალინს, – წერდა სერგო ორჯონიკიძე ელვა-ტელეგრამით 1921 წლის 25 თებერვალს, – თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“**

27 თებერვალს მოსკოვის საბჭოს პლენარულ სხდომაზე ლენინი მისთვის დამახასიათებელი ცინიზმით იტყვის, შეუმოწმებელი ინფორმაციით ტფილისში საბჭოთა მმართველობა დამყარდა და რუსეთი ფსონს საქართველოს პროლეტარიატზე დებსო.

8 მარტს გაზეთმა „კომუნისტმა“ (1921 წ. №6) გამოაქვეყნა 3 მარტს „პირდაპირი მავთულით“ გამართული მოლაპარაკების შინაარსი, მოლაპარაკება კი გაიმართა „ერთი მხრივ ამხანაგ ლენინსა (სტალინ-ჯუღაშვილის პირით) და მეორე მხრივ ორჯონიკიძეს, ორახელაშვილს და ელიავას შორის“:

**„გადაეცით ქართველ კომუნისტებს და განსაკუთრებით ქართულ რევკომის წევრთ, ჩემი მხურვალე მისალმება საბჭოთა საქართველოს, განსაკუთრებით გთხოვთ შემატყობინოთ – არის თუ არა ჩვენს შორის სრული თანხმობა შემდეგ სამ საკითხში:**

**საჭიროა დაუყოვნებლივ შეიარაღდეს მუშა და უღარიბესი გლეხობა, რათა შესდგეს ქართული წითელი ლაშქარი.**

**საჭიროა განსაკუთრებული შეღავათიანი პოლიტიკა ქართველ ინტელიგენციისა და წვრილ ვაჭართა მიმართ. საჭიროა შევიგნოთ, რომ არა თუ საჭიროა მათი ნაციონალიზაცია, არამედ შესაძლებელია ზოგიერთი მსხვერპლი, ოღონდ გამოკეთდეს მათი მდგომარეობა და მიეცეთ მათ შეძლება აწარმოონ წვრილ-წვრილი ვაჭრობა.**

**ძლიერ საჭიროა მოძებნა მისაღებ კომპრომისებისა ჟორდანიასა და მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან შეთანხმებისათვის, რადგანაც ისინი ჯერ ისევ აჯანყებამდე არ იყვნენ წინააღმდეგი საბჭოთა წესწყობილებისა საქართველოში ზოგიერთი პირობებით. გთხოვთ გახსოვდეთ, რომ შინაური და საერთაშორისო პირობები საქართველოსი მოითხოვენ ქართველ კომუნისტებისაგან ერიდონ რუსეთის შაბლონს და ეძიონ უფრო მოქნილი თავისებური ტაქტიკა დამყარებული მომეტებულ შეღავათზე ყველა წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების მიმართ. ლენინი“.**

ამ საუბრიდან არასრულ 3 წელში, 1924 წლის 21 იანვარს, ლენინი გარდაიცვალა. მეორე დღეს, 22 იანვარს, ექიმმა აბრიკოსოვმა მისი სხეული დააბალზამა. მოგვიანებით დადგინდა, რომ ლენინის ნეშტი ხანგრძლივ შენახვას ექვემდებარება. 1924 წლის 26 ივლისს, ცეკას საგანგებო სხდომაზე აბელ ენუქიძემ ლენინის მავზოლეუმის გახსნა მოითხოვა.

**„ლენინის სხეულის შენარჩუნება მისი სახელის პოპულარიზაციისთვის არ გვჭირდება. აუცილებელია, მომავალ თაობებს, მილიონობით ადამიანს, შევუნარჩუნოთ დიდი ბელადის იერსახე. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ასიათასობით მშრომელი უახლოეს წლებში შეძლებს, იხილოს ლენინის განსასვენებელი“.**

**„უახლოესი წლები“ დღემდე გრძელდება, 100 წელია წითელ მოედანზე მდებარე ლენინის მავზოლეუმი მოსკოველებსა და მოსკოვის სტუმრებს სთავაზობს გვამის დათვალიერებას, თუმცა ისიც საქმეა, რომ პოეტებს აღარ უწევთ ბელადისათვის ხოტბის შესხმა და მისი უკვდავების მტკიცება თუნდაც ამ ფორმით.**

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**
ჟურნალისტი, ბლოგერი; პროზაული, პოეტური და დოკუმენტური კრებულების ავტორი

# აფხაზეთი–2024: დიდი უბედურების მოახლოება უკვე არა განცდა, არამედ მოცემულობაა




**ახალი წელი სურვილების ჩაფიქრების და ბევრი სასიხარულო მოლოდინების დროა. მაგრამ მე ბავშვი აღარ ვარ და დიდი სურვილის მიუხედავად, ზღაპრების აღარ მჯერა. პირადად ჩემთვის ახალი 2024 იქცა წლად, როცა დიდი უბედურების მოახლოება უკვე არა განცდაა, არამედ მოცემულობა. და თუ ერთი-ორი წლის წინ სკეპტიციზმს მხოლოდ დროდადრო ვექლეოდი, სადღეისოდ ეს უკვე მუდმივ მდგომარეობად მექცა.**






# ვინ დაგეგმა ხალხის დაშინება?




## „ტერორისტების მთავარი მიზანი დეზინფორმაციის მიწოდებაა, რომ სპეცსამსახურების ყურადღება გადაიტანონ, ბრეივიკმაც ტერაქტამდე რამდენიმე ავტომობილი ააფეთქა“

**ვინ ცდილობს საქართველოს მოსახლეობის დაშინებას და შანტაჟს? – სუს-ის ინფორმაციით, აფეთქებების მუქარის შესახებ ზარი საქართველოში უცხო ქვეყნიდან განხორციელდა. ახლა ქართული სპეცსამსახური ცდილობს დაადგინოს, ვინ დარეკა, საიდან და რატომ გადაწყვიტეს, საქართველოს მოქალაქეების დაშინება.**

განგაში ჯერ ბათუმში გამოცხადდა, სადაც რამდენიმე ობიექტი სპეცრაზმის ალყაში იყო და ბომბს ეძებდნენ. ორ საათში კი საგანგებო ზომები ამოქმედდა თბილისშიც, სამთავრობო კვარტალში. სპეცსამსახურები ამ დრომდე არ ამბობენ, აქვს თუ არა კავშირი აჭარის აფეთქებების მუქარას დედაქალაქთან.

სამი საათის განმავლობაში, სრულად ჩაიკეტა სამთავრობო კვარტალი, პოლიციელების ალყაში იყო ცხრა აპრილისა და ინგოროყვას ქუჩების კვეთა. მოქალაქეებს გადაადგილება შეზღუდული ჰქონდათ. სამართალდამცველები ეუბნებოდნენ, რომ ეს მათი უსაფრთხოებისთვის ხდებოდა.

ვინ დაგეგმა ხალხის დაშინება? – არ არის გამორიცხული, კვალი რუსეთამდე მივიდეს, რადგან 21 იანვარს ჩატარებული ოპერაციის პარალელურად, სოციალურ ქსელებში გავრცელდა ერთ-ერთ „ტელეგრამ-არხზე“ გამოქვეყნებული მუქარის შემცველი პოსტები, რომელთა ავტორიც ირწმუნებოდა, რომ ჰქონდა უკანონოდ შეძენილი იარაღი, ასევე ფეთქებადი ნივთიერებები და ბათუმში გარკვეულ ობიექტებზე თავდასხმას აპირებდა. „ტელეგრამ-არხზე“ მუქარა რუსულ ენაზე გამოქვეყნდა, რომელიც უკვე აღარ იძებნება.

21 იანვარს ბათუმში ოთხ სავაჭრო ცენტრში, „მეტრო სითიში“, „გრანდ მოლში“, „ბათუმი პლაზასა“ და „ბათუმი მოლში“ ევაკუაცია გამოცხადდა. 20 იანვარს კი, შეტყობინების მიღების გამო გამნაღმველები ბათუმის აეროპორტში მუშაობდნენ.

სუს-ის ცნობით, შეტყობინებები ქვეყნის ფარგლებს გარედანაა განხორციელებული.

„ამ ეტაპზე მოპოვებული ოპერატიული მონაცემების ანალიზით, შეტყობინებები ასაფეთქებელი მოწყობილობების განთავსების შესახებ განხორციელდა ქვეყნის ფარგლებს გარედან, სადაც მიზანმიმართულად მითითებული იქნა საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონის ნომერი. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე, ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე.

**მიმდინარე ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების ფარგლებში, შეტყობინებების ინიციატორის იდენტიფიცირების მიზნით, დახმარებისათვის ეცნობათ პარტნიორი ქვეყნების უწყებებს. შეტყობინებების ინიციატორებად იდენტიფიცირებულია საზღვარგარეთ მყოფი კონკრეტულ პირთა წრე. ფაქტთან დაკავშირებით გატარებული იქნა შესაბამისი სპეციალური ღონისძიებები. საქმეზე გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრი“,** – აღნიშნულია **სუს**-ის განცხადებაში.

პოლკოვნიკი **ლაშა ბერიძე** for.ge-სთან ამბობს, რომ აღნიშნული შეტყობინებების გაშიფრვა და ანალიზი უნდა მოხდეს, რათა ბევრი ვერსია იქნას დამუშავებული და თუკი არსებობს რაიმე რეალური საფრთხე, მისი პრევენცია მოხდეს. ბერიძე ფიქრობს, რომ არ შეიძლება ახლა ამ ყველაფერს პოლიტიკური ელფერი მიეცეს და უსაფრთხოების სამსახურებს მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ.

**„ძალიან რთულია ასეთ დროს დაადგინო საიდან ვინ მოქმედებს. როგორც წესი, ასეთი შეტყობინებების ავტორები კარგად ორგანიზებული და შენიღბული ჯგუფია, რომელთაც კონკრეტული მიზნები ამოძრავებთ. მე ნაკლებად ვუკავშირებ ამას პოლიტიკურს და ვფიქრობ, რომ ეს ქვეყნის შიგნიდან არ მოდის და უფრო სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ხელწერაა. ყველაზე მეტად კი ქართველი ხალხის დაშინებით და შანტაჟით რუსეთია დაინტერესებული. ამიტომ, ამ მხრივ, ძალიან ფრთხილები უნდა ვიყოთ და მივცეთ საშუალება სპეცსამსახურებს იმუშაონ. სამწუხაროდ, უკრაინაში მიმდინარე ომის მიუხედავად, რუსეთს შესწევს იმის ძალა, რომ საქართველოში დესტაბილიზაცია ან სხვა დივერსიები მოაწყოს. შესაძლოა, ეს მხოლოდ ფსიქოლოგიური ტერორი იყოს, რომლის მიზანიც, ღმერთმა არ ქნას, უფრო მძიმე იყოს. ამიტომ ძალიან დიდი ანალიზი და რესურსი სჭირდება ამ ყველაფერს. მხოლოდ ბავშვების რაღაცა გართობა არ არის ეს და ამის უკან ორგანიზებული ჯგუფი დგას. შესაძლოა, ეს ასევე ეთნიკურ ნიადაგზე ქართველებს და რუსებს შორის დაპირისპირების მცდელობაც იყოს, რომლიდანაც ვიღაცას ხელის მოთბობა უნდა. ამიტომ პოლიტიკა გვერდით არის გადასადები და მეტი დაკვირვებაა საჭირო“,** – აცხადებს **ბერიძე**.

უსაფრთხოების სპეციალისტი **ზესიკ ალადაშვილი** კი ამბობს, რომ მსგავსი ზარები რამდენიმე წლის წინაც იყო და ეს უფრო ფსიქოლოგიური ზემოქმედების მცდელობაა. ალადაშვილი for.ge-სთან ამბობს, რომ აქ შესაძლოა, რამდენიმე ვერსია განვიხილოთ.

**„მე რასაც ყურადღება მივაქციე, ეს უფრო ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის ხდება. აქ უკვე საკმაოდ რთულია განვსაზღვროთ, ეს ვის ინტერესებში შედის. აქ ვერსიები შესაძლოა, ბევრი იყოს. არაა გამორიცხული, ეს ემსახურებოდეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების რაღაცა ინტერესებს. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ უნდა გავიდეს ჩვენი სპეცსამსახური, რომ მთავარი ვერსია გამოიკვეთოს და დაკონკრეტდეს რას ემსახურება ეს.**

**აქ ოპტიმისტური განწყობა არ მაქვს, რადგან ამის დადგენა ხშირად რთულია. ვხედავთ, რომ მეორე და მესამე პირებს არეკინებენ და ამით რეალურად კვალს შლიან. ამიტომ დადგენა რთულია, გინდა თუ არა სახელმწიფო სტრუქტურებმა რეაგირება უნდა მოახდინონ. ეს დაკავშირებულია უამრავ, არა მარტო ფინანსურ, არამედ ადამიანურ რესურსთან. ეს, ასევე, დაკავშირებულია ყურადღების გადატანასთანაც. ამიტომ, ზოგადად, ტერორისტების მოქმედების მთავარი მიზანი დეზინფორმაციის მიწოდებაა. ამით კი ტყუილი სამიზნის გამოყენება და სპეცსამსახურების ყურადღების გადატანა მოუხდენიათ. ასეთ ცრუ კვალზე დაყენების მეთოდი ხშირია და ამის არაერთი მაგალითი არსებობს“,** – ამბობს **ალადაშვილი**.

მისივე თქმით, ბრეივიკმა ნორვეგიაში სწორედ მსგავსი მანევრი გააკეთა, როდესაც ძირითად ტერაქტამდე ოსლოში რამდენიმე ავტმობილის აფეთქება მოაწყო და მთელი საპოლიციო ძალები სრულიად სხვა მიმართულებით იყო გადატანილი. მან კი ასეთი სასტიკი დანაშაული ჩაიდინა.

**„ეს ერთი შეხედვით, შესაძლოა, საყმაწვილო გართობად მოგვევლინოს, მაგრამ საკმაოდ სერიოზული ყურადღება სჭირდება. ამას კარგი ანალიზი და ანალიტიკა უნდა. ამ დროს კი ჩვენც სახელმწიფოებრივი მიდგომა უნდა გამოვიჩინოთ და ჩვენს ძალოვან უწყებებს დავეხმაროთ. აქ ყოველთვის უნდა გავიაზროთ და გავითვალისწინოთ ის, ვის ინტერესებშია საქართველოში არასტაბილური მდგომარეობა. რა თქმა უნდა, ეს არის რუსეთი, რომელიც მუდმივად ცდილობს ჩვენს ხელისუფლებაზე რაღაცა ზეწოლის ბერკეტი ჰქონდეს, იგივე, რაც ხდება სამაჩაბლოსთან მიმართებაში – ხელისუფლების მუდმივი დაშანტაჟება, თუნდაც ადგილობრივი მაცხოვრებლების გატაცების.**

**ამიტომ არ გამოვრიცხავთ, რომ რუსეთის მხრიდან ეს ახალი შანტაჟის და დაშინების ბერკეტი იყოს. გარკვეულწილად, რუსეთი იმის დემონსტრირებას ცდილობს, რომ მას საქართველოზე გავლენა და ზეწოლის ბერკეტი კვლავ აქვს. სამწუხაროდ, რუსების რაოდენობა, რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში შემოვიდა, შესაძლოა, მეხუთე კოლონად იქცეს. ამიტომ სპეცსამსახურები ამ მიმართულებით ძალიან მობილიზებულები უნდა იყვნენ“,** – ამბობს **ალადაშვილი**.

**ლიკა ბერიკაშვილი**

---

**მკითხველისთვის, რომელსაც ეს შესავალი ალბათ, გაუგებრად მოეჩვენა, განვმარტავ: საუბარია აფხაზეთსა და იმაზე, რაც მის ხალხს უკვე მიმდინარე წელს ელის.**

**აფხაზური საზოგადოების ხანგრძლივი დაპირისპირება კრემლის პოლიტიკურ ისტებლიშმენტთან საგოლოოდაა წაგებული, – მართალია, ყველა პუნქტში ჯერ არა, მაგრამ დასაგამი უკვე დადებულია. ყველაზე საწყენი კი ისაა, რომ ამას არა მტრებმა ან მათმა ჯაშუშებმა, არამედ ხალხის მიერ არჩეულმა იმ აფხაზმა მოღვაწეებმა შეუწყვეს ხელი, რომლებმაც პირადი სარგებლის სანაცვლოდ რუსეთს აფხაზეთიც მიჰყიდეს და მისი ხალხის მომავალიც.**

**„მეგობრობანას, მეზობლობანას და სრატეგიულ პარტნიორობანას“თამაშის საკვანძო მომენტად იქცა აფხაზეთის პარლამენტის მედიისთვის დახურული სხდომა, რომელზეც ჩვენი ქვეყნისთვის საბედისწერო გადაწყვეტილება იქნა მიღებული. და საქმე მხოლოდ 184 ჰექტარ ბიჭვინთის მიწაში კი არაა, რომელიც რუსეთს გადაეცა, არამედ იმაში, რომ ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე მეორის იურისდიქციაში არსებული საკმაოდ დიდი ტერიტორია გაჩნდა.**

ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ თუ მომუშავე ყოველ ადამიანს ამიერიდან დიპლომატიური ხელშეუხებლობა აქვს, რომელსაც აფხაზეთის სახელმწიფო ორგანოების ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ დაარღვევს. და მეტიც, აფხაზეთის პრეზიდენტიც კი ვერ შეძლებს ამ ტერიტორიაზე მოხვედრას მოსკოვის სპეციალური თანხმობის გარეშე.

მიწის, ნაგებობებისა და ნაკრძალის გარდა, პარლამენტმა რუსეთის დაცვის სახელმწიფო სამსახურს ბიჭვინთაში ზღვის ნაწილიც აჩუქა. და ვაი იმ ადგილობრივ მცხოვრებსა თუ ტურისტს, რომელიც შემთხვევით ამ წყლებში შეცურავს – მაშინვე ციხეში გააქანებენ რუსეთის ფედერაციის სუვერენულ ტერიტორიაზე უკანონო შეღწევისთვის.

სინამდვილეში, თავისი გადაწყვეტილებით აფხაზეთის პარლამენტმა ხალხს მისი მომავალი უჩვენა, რომელიც ამიერიდან განუყოფელია რუსეთისგან და მოსკოვის სურვილებზეა დამოკიდებული.

ამასთან, თუ გავიხსენებთ პარლამენის ამ გადაწყვეტილებამდელ ჰარმონიზაციას, კანონების რუსეთის სასარგებოდ შეცვლასა და ბევრ სხვას, გასაგები ხდება, როგორი იქნება აფხაზეთის ხელმძღვანელობის შემდეგი ნაბიჯი. იმაში, რომ ის, მაღალი ალბათობით, ჩვენი რესპუბლიკისთვის საბედისწერო საკითხებთან იქნება დაკავშირებული, ეჭვი აღარავის ეპარება.

მოსკოვის მხრიდან „ურჩი“ აფხაზების მიმართ არაერთი შანტაჟისა და სადამსჯელო ღონისძიების მიუხედავად, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში აფხაზეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელები თავს არიდებდნენ რუსეთის „შემოთავაზებებს“ და მეტიც, შესასრულებლად სავალდებულო რუსული „ინიციატივების“ განხილვაც კი არ დაუშვიათ.

მაგრამ გავიდა ხანი და იმ უდრეკი ხელმძღვანელების ადგილზე, რომლებმაც საიქიოში, სხვათა შორის, მოსკოვის კლინიკებიდან გადაინაცვლეს, მოვიდნენ სხვანი – რუსეთისთვის ხელსაყრელი კადრები, რომელთაც ავალიათ, მოსკოვის სურვილები უმწიკვლოდ აღასრულონ.

**ახლა აფხაზეთის მიმართ რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილო მოქალაქეებს არა მარტო ანონიმური წყაროები, არამედ ოფიციალური პირებიც, მათ შორის მაღალჩინოსნებიც ნათლავენ „ანტირუსებად“, „მტრულ ელემენტებად“ და „ჯაშუშებად“, რომელთა მიზანიც თურმე, „მოსკოვისა და სოხუმის მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობების არევაა“.**

**რად ღირს თუნდაც გამოჟონილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აფხაზეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ „ამრევთა“ სიები რუსეთის საელჩოს მიაწოდა შემდგომში მოსკოვში გადასაგზავნად... გადაწყვეტილია, ყველას, ვინც აფხაზეთის ასიმილაციასა და განადგურებას ეწინააღმდეგება, რუსეთის მოქალაქეობა ჩამოართვან.**

მსგავსი ქმედებების მთავარი მიზანი უკმაყოფილოთა დაშინებაა საბოლოოდ მოსათვინიერებლად. მაგრამ ამის ნაცვლად ხელისუფლებამ საპასუხო დარტყმა მიიღო, შეიტყო რა, რომ ამ ადამიანების უმრავლესობა მზადაა, უარი თქვას რუსულ პასპორტსა და მოქალაქეობაზე, მაგრამ არა ბრძოლაზე აფხაზეთის მომავლისთვის.

**ბოლო რამდენიმე წელი აფხაზური საზოგადოებისთვის მძიმე გამოდგა. თავისუფალი ქვეყანა სულ უფრო ემსგავსება საპოლიციო სახელმწიფოს, რომელშიც სიტყის თავისუფლება ლიტონი სიტყვებია. წინა პერიოდისგან განსხვავებით, სადღეისოდ აფხაზეთში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ღალატთან ათანაბრებენ, რადგან იგი წინააღმდეგობაში მოდის მოსკოვის პოლიტიკასთან. და ყველა, ვინც მზადაა, რუსეთის გავლენას ებრძოლოს, მზად უნდა იყოს შემდეგისთვის: უახლოეს თვეებში აფხაზეთის პარლამენტი პრეზიდენტ ბჟანიას ჩაწოდებით კიდევ რამდენიმე საბედისწერო გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც აფხაზეთისა და მისი ხალხისთვის ფატალურად იქცევა.**

**კრისტინა ავიძბა**

***(ტექსტი შეიცავს ტოპონიმებსა და ტერმინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიყენება)***

## ახალგაზრდული ოლიმპიადა

# ხაჩიძის ფინიში

GANGWON 2024 YOUTH OLYMPIC GAMES

**განგვონის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების მეორე საშეჯიბრო დღეს „ალპენსიას სასრიალო ცენტრში“ ერთადგილიანი ციგით იასპარეზა საბა ხაჩიძემ და საყურადღებო შედეგიც დააფიქსირა.**

16 წლის ქართველმა მოციგავემ პირველი დაშვებისას 47.485 წამში გადაკვეთა ფინიშის ხაზი და 22 მონაწილეს შორის მე-9 ადგილზე გავიდა. შედარებით ცუდი მაჩვენებელი ჰქონდა მეორე მცდელობისას (47.651), რამაც მას მე-14 ადგილი მოუტანა, ორივე დაშვების ჯამში კი მე-13 ადგილზე (1:35.136) დაასრულა კორეაში გამოსვლა. ერთი დღით ადრე საბა ხაჩიძემ ორადგილიანი ციგით ასპარეზობისას ლუკა მიქაბერიძესთან წყვილშიც იასპარეზა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ დაასრულა დისტანცია.

## ელიტაში



# დავითის ჩვეული

**Rugby Europe -მ ახალი სეზონის წინ იმ მოთამაშეთა სია წარმოადგინა, რომლებიც ტურნირზე ყველაზე სახიფათონი იქნებიან.** ასეთ მორაგბეთა ჩამონათვალში მოხვდა საქართველოს ნაკრების ლიდერი **დავით ნინიაშვილიც.**

**„ჯადოქარი, რომელსაც შეუძლია კურდღელი ქუდიდან თითის მხოლოდ ერთი გატკაცუნებით ამოიღოს. დავით ნინიაშვილმა 2020 წელს დებიუტის შემდეგ მიიქცია გულშემატკივართა ყურადღება. მისი უნარებით საქართველოს ნაკრები შეტევის ფრთაზე სახიფათო გახდა. 21 წლის მორაგბე ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოს დაეხმაროს. ამ სეზონში ის გამორჩეულია ტოპ 14-ში და აგრძელებს მეტეორულ ზრდას. მას შეუძლია ფლანგზე თამაში, როგორც ამას „ლიონში“ აკეთებს, ან ფულბეკად, როგორც საქართველოს ნაკრებში.**

**რაგბი ევროპის სცენაზე მან თავისი კვალი 2019 წელსაც დატოვა, როდესაც 18-წლამდელთა ჩემპიონატზე ითამაშა, სადაც საქართველომ ტიტული მოიპოვა. 2023 წლის სეზონში ის საუკეთესო მეპასე იყო და თანაგუნდელებს 5 შთამბეჭდავი გადაცემა გაუკეთა. სწორედ ამიტომ იყო ის რაგბი ევროპის ჩემპიონატზე მეტოქეთათვის მთავარი საფრთხე 2023 წელს და 2024 წელსაც ასე იქნება“,** – წერს საიტი.

შეგახსენებთ, რომ რაგბი ევროპის ჩემპიონატის პირველ ტურში 4 თებერვალს საქართველო სტუმრად გერმანიის ნაკრებს შეხვდება, მანამდე კი დავითი ჩემპიონთა თასზე ლიონისა და სარასენსის მატჩის შემდეგ ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

## ლეგიონერი



# ყოჩაღ, გიო!

**საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში „ლენოვო ტენერიფემ“ თურქეთში „პინარ კარშიაკა“ 106:97 დაამარცხა.**

მატჩის ბედი ოვერტაიმში გადაწყდა, რომელშიც ესპანელებმა 17:8 იმარჯვეს. **გიორგი შერმადინმა** შესანიშნავად ითამაშა. ქართველმა ცენტრმა 34 წუთში 25 ქულა, 9 მოხსნა, 5 პასი და 1 დაფარება მიითვალა. გიორგიმ 12-დან 9 ორქულიანი და 7-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. „ტენერიფეში“ ასევე გამოირჩა კაილ გაი, რომელმაც 25 ქულა დააგროვა, ხოლო თურქულ გუნდში საუკეთესო ვერნონ ქერი იყო 27 ქულით და 7 მოხსნით. „ლენოვო ტენერიფე“ მეორე ტურში 31 იანვარს, „პერისტერის“ საბერძნეთში დაუპირისპირდება.

## ფეხბურთიც ომია

# არა არს დაფარული...

**ბრატისლავის „სლოვანმა“ მოსკოვის „დინამოსთან“ ამხანაგური მატჩი ყატარში ფარულად გამართა. სლოვაკურმა კლუბმა რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ცნობა „დინამოსთან“ დაგეგმილი მატჩის შესახებ, რასაც პროტესტი მოჰყვა და შემდეგ მათ ეს ამხანაგური შეხვედრა სიიდან წაშალეს, თუმცა, მაინც ითამაშეს, მაგრამ არ გააშუქეს.**

სამაგიეროდ, არაფერი დაუმალავს რუსულ კლუბს, რომელმაც ეს მატჩი 2:1 მოიგო. ანგარიში მეოთხე წუთზე **ვლადიმირ ვაისის** გუნდმა გახსნა, გოლი **ჯაბა კანკავას** აქტივშია. მის გარდა, მოედანზე იყო **გურამ კაშიაც**, ხოლო მოსკოვის „დინამოს“ ძირითადში ითამაშა **ლუკა გაგნიძემ.**

72-ე წუთზე „სლოვანის“ მაისურით მოედანზე **ვაკო გვილია** გამოჩნდა, რომელიც უგუნდოდაა და სლოვაკურ გუნდში ემზადება. არაა გამორიცხული, რომ გვილიამ ბრატისლაველებთან კონტრაქტი გააფორმოს.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის „დინამოსთან“ თამაშის გამო, პრაღის „სლავიამ“ „სლოვანთან“ 4 თებერვალს დაგეგმილი ამხანაგური მატჩი გააუქმა. ჩეხების განცხადებით, ისინი მხარს უკრაინას უჭერენ და გმობენ რუსეთის აგრესიას.





# გაათავისუფლეთ დაუყოვნებლივ!!!

**პოლონეთის პრეზიდენტმა, ანჯეი დუდამ პოლონეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი მარიუშ კამინსკი და მისი მოადგილე მაცეი ვონსიკი შეიწყალა,** – ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს. დუდამ ციხიდან მათი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა.

**„მივმართავ იუსტიციის მინისტრსა და გენერალურ პროკურორს, დაუყოვნებლივ დაიწყონ ამ საქმეზე შემდგომი ქმედებები. მოვუწოდებ, დაუყოვნებლივ დაემორჩილონ პრეზიდენტის ბრძანებას. დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ ისინი, განსაკუთრებით, მარიუშ კამინსკი ჯანმრთელობის მიზეზების გამო. ვწუხვარ, რომ ჩემი მოწოდების, მძიმე შიმშილობის და კამინსკის ჰოსპიტალიზაციის მიუხედავად, იუსტიციის მინისტრს ის აქამდე არ გაუთავისუფლებია“,** – აღნიშნა დუდამ.

ცნობისთვის, პოლონეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი მარიუშ კამინსკი და მისი ყოფილი მოადგილე მაცეი ვონსიკი პოლიციელებმა 9 იანვარს ქვეყნის პრეზიდენტის სასახლეში დააკავეს. კამინსკი და ვონსიკი სასამართლომ 2023 წლის დეკემბერში ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში ხელმეორედ ცნო დამნაშავედ. საქმე ეხება იმ პერიოდს, როდესაც ისინი ანტიკორუფციულ ბიუროს ხელმძღვანელობდნენ. მათ ორ-ორი წლით პატიმრობა მიესაჯათ. თავად კამინსკი და ვონსიკი სასამართლოს გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევენ, რადგანაც ისინი მათ საქმეზე პირველი განაჩენის შემდეგ, 2015 წელს პოლონეთის პრეზიდენტმა, ანჯეი დუდამ შეიწყალა. პრეზიდენტის სასახლეში დაკავების შემდეგ ორივე პოლიტიკოსმა შიმშილობა გამოაცხადა.



# რობერტ ფიცო: რატომ უნდა წავიდე კიევში, როცა შემიძლია, შმიგალს უჟგოროდში შევხვდე...

**უკრაინის დედაქალაქში ცხოვრება „აბსოლუტურად ნორმალურია“ და იქ ომი არ არის,** – ამის შესახებ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა, რობერტ ფიცომ განაცხადა. როგორც „როიტერი“ წერს, რობერტ ფიცო ხვალ უკრაინის პრემიერ-მინისტრს, დენის შმიგალს უჟგოროდში შეხვდება. ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ აპირებს უკრაინის პრემიერ-მინისტრთან, დენის შმიგალთან შეხვედრას უჟგოროდში და არა კიევში, რადგან ომის შედეგების დანახვას ის კიევში უკეთ შეძლებდა, ფიცომ განაცხადა, რომ განსხვავებას ვერ ხედავს. **„არსებობს კონფლიქტი, რომელიც ლოკალიზებულია. სერიოზულად ფიქრობთ, რომ კიევში ომია? თქვენ ალბათ ხუმრობთ, იმედია, არასერიოზულად ამბობთ. წადით იქ და გაიგებთ, რომ ქალაქში ნორმალური ცხოვრებაა, აბსოლუტურად ნორმალური ცხოვრება. რატომ უნდა წავიდე კიევში, როცა შემიძლია, პრემიერ-მინისტრს უჟგოროდში შევხვდე? მე ვერ ვხედავ განსხვავებას“,** – აღნიშნა ფიცომ.

# ყველაზე ხანგრძლივი გაფიცვა გერმანიაში

**გერმანიაში მატარებლის მემანქანეებმა ყველაზე ხანგრძლივი გაფიცვა დაიწყეს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას „დოიჩე ველე“ ავრცელებს. გაფიცვა გუშინ, ადგილობრივი დროით 02:00 საათზე დაიწყო და 29 იანვრის დილის ექვს საათამდე გაგრძელდება.**

გერმანულ სარკინიგზო კონცერნ „დოიჩე ბანთან“მიმდინარე შრომითი დავის გამო დაწყებული რკინიგზის მემანქანეთა გაფიცვა გავლენას მოახდენს ათასობით მგზავრზე და, შესაძლოა, ეკონომიკა ერთ მილიარდ ევრომდე დააზარალოს.

როგორც ცნობილია, 19 იანვარს „დოიჩე ბანმა“ თანამშრომლებს გაუმჯობესებული პირობების შესახებ წინადადება შესთავაზა, თუმცა მატარებლის მემანქანეებისგან მოლაპარაკებების მაგიდასთან დაბრუნებაზე უარი მიიღო. ისინი ხელფასის 550 ევროთი ზრდას, ინფლაციისთვის 12 თვის განმავლობაში კომპენსაციასა და სამუშაო გრაფიკის 38-საათიდან 35-მდე შემცირებას ითხოვენ.

# საიმედო, სამხედრო ვერტმფრენები უკრაინას...



გერმანია უკრაინას „Sea King Mk 41“-ის ტიპის სამხედრო ვერტმფრენებს პირველად გადასცემს.

**„Sea King-ი არის აპრობირებული და საიმედო ვერტმფრენი, რომელიც დაეხმარება უკრაინელებს ბევრ სფეროში: შავი ზღვის დაზვერვით დაწყებული ჯარისკაცების ტრანსპორტირებამდე. ეს არის გერმანიისგან ამ ტიპის პირველი მიწოდება“,** – ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა, ბორის პისტორიუსმა. გერმანიის თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის დაწყებიდან კიევისთვის გერმანიის სამხედრო დახმარების ჯამურმა რაოდენობამ, დაახლოებით, ექვს მილიარდ ევროს მიაღწია. მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გერმანია 2024 წელს უკრაინას შვიდ მილიარდ ევროზე მეტი ღირებულების სამხედრო დახმარებას გადასცემს.

# თურქეთმა შვედეთის ნატოში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა

**თურქეთის დიდმა ეროვნულმა ასამბლეამ შვედეთის ნატოში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა. შვედეთის ნატოში გაწევრიანებას პარლამენტის 346 წევრიდან 287 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი იყო 55, ხოლო ოთხმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.**

ამის შემდეგ უნგრეთი იქნება ერთადერთი წევრი ქვეყანა, რომელსაც ჯერ არ მოუხდენია შვედეთის გაწევრიანების პროტოკოლის რატიფიცირება. შვედეთმა და ფინეთმა ნატოში გაწევრიანების შესახებ 2022 წლის მაისში განაცხადეს. ფინეთი ნატოს 2023 წლის აპრილში შეუერთდა, მაგრამ შვედეთის გაწევრიანებას თურქეთი და უნგრეთი ეწინააღმდეგებოდნენ.

# „რეზინის ტყვია არ იყო, რაც ფეხში მომხვდა, მარცხენა ფეხის ძვალი მთლიანად დამემსხვრა, რეზინის ტყვია ამას ვერ იზამდა...“

**2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე გუშინ დაზარალებულები დაიკითხნენ.**

მოწმე ნიკოლოზ დიდიშვილმა გაიხსენა, როგორ მიიღო მძიმე დაზიანებები რიყეზე მიტინგის დარბევის დროს. როგორც მან განაცხადა, სამართალდამცველის სროლის შედეგად ორივე ფეხის მძიმე დაზიანება მიიღო. მისივე თქმით, ეს არ იყო რეზინის ტყვია, რადგან წვივის ძვალი მთლიანად ჩამსხვრეული ჰქონდა და ასეთ დაზიანებას რეზინის ტყვიით ვერ მიიღებდა. ნიკოლოზ დიდიშვილის განცხადებით, სამართალდამცველებს გზა ჩახერგილი ჰქონდათ და აქციის მონაწილეებს ტერიტორიის დატოვება არ შეეძლოთ. მანვე დაადასტურა დარბევაში საჯარისო დანაყოფების მონაწილეობა.

**„ერთი ფეხი კანზე მეკიდა, მეორე დამწვარი მქონდა, გამვლელს ვთხოვე დახმარება. გამვლელ მანქანაში ჩამსვეს და ე.წ. არამიანცში მიმიყვანეს. საჯარისო დანაყოფები მითითებებს იღებდნენ, ემზადებოდნენ რაღაცებისთვის. პოლიციელების და რობოკოპების კორიდორი იყო, ჩაკეტილი იყო გზა, გასასვლელი, ხალხის დიდი ნაწილი ვერ გავიდა.**



**რეზინის ტყვია არ იყო, რაც ფეხში მომხვდა. ორივე ფეხზე დამწვრობა მივიღე, მარცხენა ფეხი მთლიანად დამემსხვრა, კანზე ეკიდა ფეხი. რეზინის ტყვია ამას ვერ იზამდა. ფეხის მოჭრაზეც იყო საუბარი, კანი აღდგენას ვერ ახერხებდა“,** – განაცხადა მოწმემ.

7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილს უფლებამოსილების გადამეტებაში აქვს ბრალი წარდგენილი. ამავე საქმეზე ბრალდებულები არიან იუსტიციის ყოფილი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი, თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა და თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი.

2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის საქმეზე გუშინდელ სასამართლო პროცესს ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი არ დაესწრო. როგორც მისმა ადვოკატმა განაცხადა, მიხეილ სააკაშვილი დღევანდელ პროცესში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ მონაწილეობს. თუ დაუკვირდებით, ბრალდებული პრეზიდენტი 7 ნოემბრის საქმის განხილვაზე ძალიან ცუდად ხდება და არასოდეს პროცესს არ ესწრება.

სანთელი

# მეგობრის ხსოვნას

**ორმოცი დღე შესრულდა, რაც ზეციური საქართველოს მკვიდრი გახდა ჩვენი უახლოესი მეგობარი, ჭეშმარიტი პატრიოტი, სახელმწიფო მოღვაწე, უიშვიათესი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი**

# თემურ ხაზარაძე

**იგი გახლდათ მართლაც გამორჩეული შვილი ხაზარაძეთა გვარისა, გამორჩეული სიყვარულითა და მიმტევებლობით. გვჯერა, რომ მისი ამქვეყნიური უბრალოებითა და ჭირთათმენით განვლილი ცხოვრების სანაცვლოდ სასუფეველში დაიმკვიდრა ადგილი.**

**ვიტალი ხაზარაძე, გივი აბზიანიძე, გურამ ქაშაკაშვილი, ზურაბ ანთაძე, ოთარ მენაბდე, მერაბ ასანიშვილი, სოსო არეშიძე, ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, მირზა ქორქაშვილი, დემურ გადელია, პეტრე ბერაია, ბორის ფოცხვერაშვილი, დავით რეხვიაშვილი, ნუგზარ სულავა, მარინა ნოზაძე, მარინა ჩიქოვანი, თინა მაჭარაშვილი.**

# როდის და როგორ უნდა გამოიყენონ ხელბორკილები

**სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დაკავებული პირების მიმართ ხელბორკილის გამოყენების ინსტრუქცია ამოქმედდა, რომელიც ხელბორკილის და ძალის გამოყენების ფორმას, ზომას და შემთხვევებს განსაზღვრავს.**

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ გიორგი კვარაცხელიამ, ოპერატიული დანაყოფის თანამშრომლებთან გამართულ შეხვედრაზე დოკუმენტის მნიშვნელობასა და დაკავების ღონისძიებების დროს პროპორციული ზომის გამოყენების წესებზე ისაუბრა.

ხელბორკილის გამოყენების ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება, დაკავებული პირების მიმართ ხელბორკილის არამართლზომიერად გამოყენების რისკებს შეამცირებს, უფრო მეტად დაცულს გახდის დაკავებულ პირთა უფლებებს და აამაღლებს სამართალდამცავების პროფესიულ სტანდარტებს.

დოკუმენტი ევროკავშირისა (EU) და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) მხარდაჭერით შეიქმნა და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ ჩატარებულ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზსა და დიდი ბრიტანეთის გამოცდილებას ეფუძნება.




ბორკილების გამოყენების ინსტრუქცია დამტკიცებამდე შეფასებისთვის, სახალხო დამცველის აპარატის, უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს წარედგინა. დოკუმენტი მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით დადებითად შეფასდა.

საჯარო განხილვისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ მოსაზრებების წარმოდგენის შემდეგ, დოკუმენტი სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცდა და შესასრულებლად სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებისთვის სავალდებულო გახდა.

# ნინოობას გილოცავთ!

**27 იანვარს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქალწულ ნინოს – ჩვენს წმიდათა დედას, მოციქულთა თანასწორსა და ქართველთა განმანათლებელს.**



საქართველო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. სულიწმინდის მადლის მოფენის შემდეგ მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელი ქვეყანა უნდა რგებოდა საქადაგებლად, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ხვდა იბერია, მაგრამ, როდესაც დედა ღვთისამ დააპირა საქართველოსკენ წამოსვლა, მას ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „ნუ განმეშორები იერუსალიმს. ხვდომილი ქვეყანა შენი განათლების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ“.

საგულისხმოა, რომ ის ყოვლად წმინდა მარიამ ღვთისმშობელმა გამოარჩია კეთილმორწმუნე კაბადოკიელი ქალწული ნინო, რომელსაც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული იმ ქვეყნის ნახვა, სადაც მაცხოვრის წმინდა კვართი ინახებოდა და ევედრებოდა ღვთისმშობელს, დახმარებოდა ამ წმინდა მიზნის განხორციელებაში.

ცნობილია ისიც, რომ ქალწულ ნინოს კეთილად აუხდა ოცნება – ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: „გაემგზავრე იბერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე“. შემდეგ ვაზის ტოტების ჯვარი გადასცა მას და დასძინა: „ეს იქნება შენი მფარველი გაჭირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრის წინააღმდეგ... ძალითა მისითა დაამყარებ იქ სიტყვას ძისა ჩემისას, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.

...ქალწულ ნინოს გაეღვიძა. მას სწორედ ის ჯვარი ეპყრა ხელთ, რომელიც ძილში მისცა მას ღვთისმშობელმა. ქართველთა განმანათლებელს სწორედ ამ ჯვარმა უწინამძღვრა!

**გიული ლიპარტია**

# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განცხადება

**სგშ ანგარიშის საჯარო განხილვა -** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ხულოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით) - გოდერძის უღელტეხილის არეალის გენერალური გეგმისა და ამ არეალში მოქცეული სამი ერთეული ტერიტორიის - კურორტი ბეშუმის, შქერნალის უბანისა და გოდერძის უღელტეხილის განვითარების გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში

**დაგეგმილი საქმიანობის დასახელება:** კურორტი ბეშუმის (მიმდებარე ტერიტორიებით), გოდერძის უღელტეხილისა და შქერნალის განვითარების გენერალური გეგმა

**დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

**დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი:** ხულოს მუნიციპალიტეტი

**საჯარო განხილვის ორგანიზატორი:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

**დაგეგმილი საქმიანობის სგშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 12 მარტი, 14:00 საათი, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: დაბა ხულო, ტბელ აბუსერიძის ქუჩა 1)**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სგშ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 20 მარტის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

## ევროვიზიის წილისყრა კარსაა მომდგარი



**30 იანვარს, თბილისის დროით 22:00 საათზე ევროვიზია 2024-ის წილისყრა გაიმართება, რომელშიც 38 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას. კონკურსის წესებიდან გამომდინარე, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი და იტალია, ე.წ. დიდი ხუთეულის ქვეყნები და მასპინძელი შვედეთი ფინალში ავტომატურად გადადიან. წილისყრაზე კი გავიგებთ, რომელ ნახევარფინალში შეეძლებათ მათ ხმის მიცემა.**

ასევე წილისყრაზე ცნობილი გახდება, თუ რომელ ნახევარფინალში იმღერებენ დანარჩენი 32 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის საქართველო და მისი წარმომადგენელი ნუცა ბუზალაძე.

წლევანდელ წილისყრას პერნილა მანსონ კოლტი და ფარა აბადი გაუძღვებიან. წამყვანების თქმით, წილისყრა ევროვიზიის დასაწყისია და მნიშვნელოვანია მომავალი ასპარეზობისთვის. ევროვიზია 2024-ს შვედეთის ქალაქი მალმე მასპინძლობს. კონკურსის პირველი ნახევარფინალი – 7 მაისს, მეორე ნახევარფინალი კი 9 მაისს გაიმართება. გრანდიოზულ ფინალს მაყურებელი 11 მაისს იხილავს.

## ესტონეთმა უნიკალური საგანძური უკრაინას გადასცა

**ორშაბათს, 22 იანვარს, ესტონეთის კულტურის მინისტრმა, ჰაიდი პურგამ უკრაინის ელჩს ესტონეთში, მაქსიმ კონონენკოს გადასცა მოპარული საგანძური, რომელიც 300 არტეფაქტისგან, მათ შორის, ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქის მონეტებისგან შედგება.**

ამ ისტორიულ-კულტურული ფასეულობების კონფისკაცია 2018 წელს სამხრეთ ესტონეთში, ლუჰამაას სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე მოხდა. ისინი მებაჟეებმა, კაია ნილვიკმა და ავო კიუტმა აღმოაჩინეს. საგანძურს მათ იმ მანქანაში მიაგნეს, რომელიც რუსეთიდან ევროპაში მიდიოდა. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ არტეფაქტები უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებიდან უკანონოდ იყო გატანილი. უკრაინისთვის დაბრუნებულ ძვირფას ნივთებს შორის არის: ძველ დროში სამხრეთ უკრაინის ტერიტორიაზე მცხოვრები სკვითების ოქროს ნაკეთობები, შუა საუკუნეების პერიოდის ცხენის სამკაულები, ასევე უძველესი და შუა საუკუნეების მონეტები.



22 იანვარს პურგამ და კონონენკომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ოქროსა და ვერცხლის ნივთებისგან შემდგარი საგანძურის უკრაინისთვის გადაცემის შესახებ.

უკრაინაში დაბრუნებამდე, ეს ნივთები ტალინში, ესტონეთის ისტორიის მუზეუმის გილდიის დიდ დარბაზში, 28 იანვრამდე, წარმოდგენილი იქნება გამოფენაზე, რომლის სახელწოდებაა „გაძარცვული საგანძური. ოქრო უკრაინიდან“. ესტონეთის ეროვნული მემკვიდრეობის საბჭოს მრჩეველი არქეოლოგიის საკითხებში, ნელე კანგერტი მიიჩნევს, რომ არტეფაქტები „ძალიან მაღალი კულტურული ღირებულებისაა“ და ისინი საჯაროდ უნდა იყოს გამოფენილი. 2016 წელს ესტონეთმა დააბრუნა ვიკინგების ეპოქის ხმალი, რომელიც უკანონოდ იყო უკრაინიდან გატანილი და ესტონეთის საზღვარზე იქნა აღმოჩენილი და ჩამორთმეული.

## გარდაიცვალა ოსკაროსანი რეჟისორი



**კანადელი რეჟისორი ნორმან ჯუისონი გარდაიცვალა. ის 97 წლის იყო. ჯუისონი ავტორია ისეთი პოპულარული ფილმებისა, როგორებიც არის In The Heat Of The Night, Jesus Christ Superstar, Hurricane, Fiddler on the Roof, Moonstruck The Thomas Crown Affair.**

მრავალწლიანი კარიერის განმავლობაში, ჯუისონს არაერთი ჯილდო და ნომინაცია აქვს მიღებული. არის ოსკარის სამგზის ნომინანტი ფილმებისთვის. 1999 წელს გადაეცა საპატიო ოსკარი. არის ასევე BAFTA-ს, ემისა და ოქროს გლობუსის ნომინანტი.

## სიყვარულს მალვა უნდაო, მაგრამ...



**ჯენიფერ ჰადსონმა და რეპერმა კომონმა მათი სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ არსებული ინფორმაცია თითქმის დაადასტურეს.** – ამის შესახებ ინფორმაციას CNN ავრცელებს.

წყვილი ერთად თავად ჰადსონის თოქ-შოუში, „ჯენიფერ ჰადსონის შოუ“-ში გამოჩნდა, სადაც კომონი ყვავილების თაიგულით მივიდა. ჯენიფერმა რეპერს კითხვა დაუსვა – „წამყვანი ვარ, ამიტომ ვალდებული ვარ გკითხო, ამჟამად ვინმეს ხვდები?“.

რეპერმა პარტნიორის სახელი არ დაასახელა, თუმცა კითხვას პასუხი ასე გასცა: **„ვხვდები ყველაზე ლამაზ ქალს, ვისაც კი ცხოვრებაში შევხვედრივარ. ძალიან ჭკვიანი ქალია, ღმერთი უყვარს და ჩემი სტანდარტები ძალიან მაღლა ასწია, რადგან „ეგოტია“ ხემის, გრემის, ოსკარისა და ტონის მფლობელიც. მან თავის პირველივე ფილმში ოსკარი მიიღო და თან საკუთარი თოქ-შოუ აქვს“,** – აღნიშნა კომონმა. ჯენიფერ ჰადსონმა „ეგოტის“ სტატუსი 2022 წელს მიიღო. წყვილის რომანტიკულ ურთიერთობაზე საუბარი 2023 წლის ნოემბერში დაიწყო, როცა ინტერნეტში პაპარაცული სურათები გავრცელდა, სადაც ჰადსონი და კომონი ხელიხელჩაკიდებულები ნიუ-იორკში ნახეს.

## ლეგენდარული BONEY M დამფუძნებელს ემშვიდობება



**გერმანელი პროდიუსერი, ფრენკ ფარიანი გარდაიცვალა, რომელიც პოპულარული დისკო ჯგუფის Boney M-ის დამფუძნებელი იყო.**

გავრცელებული ინფორმაციით, 82 წლის ფარიანი აშშ-ში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. Boney M-ი 1976 წელს დაარსდა და პოპულარობა 1970-იანი წლების ბოლოს მოიპოვა. ფარიანი ავტორია ისეთი ჰიტებისა, როგორებიცაა Rasputin-ი და Daddy Cool-ი.

## ელიტური უნივერსიტეტი უცხოელებისთვის მიღებას ზღუდავს

**ლოზანის ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი 2025 წლიდან, ბაკალავრიატის პირველ კურსებზე 3000-ადგილიანი ლიმიტის შემოღებას გეგმავს.**

ეს სიახლე, სავარაუდოდ, ოთხი წლის განმავლობაში იმოქმედებს, ვადის გაგრძელებას ექვემდებარება და უცხოური დიპლომის მქონე სტუდენტებზე გავრცელდება.

**„შესანიშნავმა სწავლებამ და სამეცნიერო კვლევებმა, ლოზანის ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტი ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ უნივერსიტეტად აქცია, განსაკუთრებით, – სხვა ქვეყნების სასწავლებელდამთავრებულთათვის. თუმცა, სტუდენტური კონტინგენტის ზრდა ამცირებს განათლების ხარისხს, რომელსაც ჩვენ გავცემთ“,** – ნათქვამია გამოქვეყნებულ პრესრელიზში.

უფრო კონკრეტულად, – ყველა კურსდამთავრებული, რომელსაც შვეიცარიული სიმწიფის ატესტატი (Maturite) აქვს, EPFL-ში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღება, როგორც ამას კანონი მოითხოვს, ისევე როგორც ისინი, ვინც ხელმეორედ სწავლობს პირველ კურსზე. დარჩენილი ადგილები კი გადანაწილდება უცხოური დიპლომების მქონე აპლიკანტებს შორის, რომლებიც საშუალო სკოლის ნიშნების (ქულების) მიხედვით შეფასდებიან. თორმეტ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ლოზანის ტექნოლოგიების ფედერალური ინსტიტუტის სტუდენტების რაოდენობა გაორმაგდა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 29 იანვარს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6692; ევრო - 2.9089;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4046;
100 რუბლი - 3.0241; თურქული ლირა - 0.0880;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5669;
1000 სომხური დრამი - 6.5852

**ამინდი 25 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -8, | დღე | +4 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -12, | დღე | +2 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -4, | დღე | +11 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -11, | დღე | +7 |
| თბილისი: | ღამე | -3, | დღე | +2 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge